

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

გიორგი ზუბიაშვილის

სამაგისტრო ნაშრომი

დაკავება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით
გათვალისწინებული იძულების დონისძიება.

ხელმძღვანელი: ბესიკ მეურმიშვილი

ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად.

საავტორო უფლება დაცულია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი გიორგი ზუბიაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს, ნაშრომი მზად არის დასამტკიცებლად.

ხელმძღვანელი:

ბესიკ მეურმიშვილი

თარიღი __.__.2020

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პირის თავისუფლების აღკვეთის სამართლებრივი რეგულაციების, მათ შორის როგორც ეროვნული კანონმდებლობის ასევე საერთაშორისო სამართლის შესწავლა.

ადამიანის თავისუფლება ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, რომლის არსებობაც თითოეული ადამიანისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

თავისუფლების აღკვეთით ადამიანს ერთმევა შესაძლებლობა განახორციელოს მისი სხვა ძირითადი უფლებები.

ადამიანი - საკუთარი თავისუფლების შეზღუდვით საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში ხვდება. მნიშვნელოვანია, თითოეული ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვა - დაკავება მოხდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამასთანავე დაკავება უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება, იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ დროს, როცა სხვა ალტერნატიული ღონისძიებით მიზანი ვერ იქნება მიღწეული.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, დაკავებასთან დაკავშირებული, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის კვლევა. შესაბამისად ნაშრომში გაანალიზებულია როგორც ეროვნული სასამართლოების მიერ დაწესებული სტანდარტები და მიდგომები - დაკავების პროცედურებთან დაკავშირებით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. მათზე დაყრდნობით გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით კი შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

ამასთანავე, ნაშრომში წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის უარყოფითი მხარეები, რასთან დაკავშირებითაც შემოთავაზებულია პრობლემის აღმოფხვრის გზები.

ნაშრომი წარმოდგენილია, ხუთი ნაწილისაგან, რომლებიც ჩაშლილია თავებად და ქვეთავებად. I და V ნაწილები შესავალი და დასკვნაა, ხოლო ძირითადი კვლევა მოცემულია II –IV ნაწილებში.

ნაშრომის II ნაწილში გადმოცემულია თავისუფლების უფლება, რომელიც ქვეთავებში არის გაანალიზებული, განსაზღვრულია დაცული სფერო და დაცულ სფეროში ჩარევა. ასევე განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და მისი სტანდარტები.

III ნაწილი ეთმობა დაკავების საფუძვლებს, აღწერილია პირის დაკავება როგორც სასამართლოს განჩინებით ასევე სასამართლოს განჩინების გარეშე. ასევე, მათი ფორმალური და ფაქტობრივი გარემოებები.

IV ნაწილში წარმოდგენილია, დაკავების წესი, რომლის ქვეთავებში გადმოცემულია როგორც დაკავების პროცედურა, ასევე დაკავებული პირის უფლებები და დამკავებელი პირის ვალდებულებები, ამავე ნაწილში აღწერილია- იმუნიტეტის მქონე პირებისა და არაიდენტიფიცირებული პირების, დაკავების წესი და მათთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები.

სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს, დასკვნის სახით, შემოთავაზებულია კვლევის შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების და პრობლემები და მათი მოსაგვარებელი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც დაიხვეწება როგორც საკანონმდებლო ბაზა, ასევე დაკავების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

Resume

The purpose of the master thesis is study of international and local law regulation about the imprisonment.

Human freedom is one of the fundamental rights whose existence is critically important for every human being. Deprivation of liberty deprives a person of the opportunity to exercise his other basic rights.

It is very important that all detention will be realized in case provided by law. It should be implemented only when the goal can not be achieved through other alternative measures.

That is why it is important to study both national and international case law related to detention. Accordingly, the paper analyzes both the standards and approaches set by national courts regarding detention procedures and the case law of the European Court of Human Rights. Recommendations are offered regarding the shortcomings identified based on them.

In addition, the paper presents the disadvantages of current legislation and practice, in connection with which suggested ways to eliminate the problem.

The paper is presented, in five parts, broken down into chapters and subsections. Parts I and V are the introduction and conclusion, and the main research is given in Parts II-IV.

Part II of the paper sets out the right to liberty, which is analyzed in the subsections, defines the protected area and interference in the protected area. The case law of the European Court of Human Rights and its standards are also discussed.

Part III deals with the grounds for detention, describing the detention of a person both by a court order and without a court order. As well as their formal and factual circumstances.

Section IV sets out the rules of detention, which set out the procedure for the arrest, as well as the rights and obligations of the detainee, as well as the rules of detention of persons with immunity and unidentified persons and related legal regulations.

At the end of the master thesis, as a conclusion, the recommendations for solving the shortcomings and problems identified as a result of the research are proposed, which will improve the legal framework, as well as detention procedures, which will ensure the protection of human rights and freedoms.

სარჩევი.

| | | |
|------|--|----|
| I. | შესავალი..... | 6 |
| II. | თავისუფლების უფლება | 10 |
| | 1. თავისუფლების უფლება | 10 |
| | 2. დაცული სფერო და მასში ჩარევა..... | 11 |
| | 3. პიროვნების თავისუფლება, როგორც ევროპული კონვენციით დაცული სფერო..... | 12 |
| III. | პირის დაკავების საფუძვლები..... | 15 |
| | 1. დანაშაულის ჩადენა. | 15 |
| | 1.1. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული..... | 16 |
| | 1.2. სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებს გარეთ არსებული დანაშაულის ჩადენისათვის პირის სისხლისსამართლებრივი წესით დაკავება..... | 17 |
| | 2. სასჯელის სახით - გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა..... | 20 |
| | 3. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე. | 21 |
| | 3.1. სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების ფაქტობრივი საფუძვლები. | 21 |
| | 3.2 სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების ფორმალური საფუძვლები. | 23 |
| | 3.2.1. პირის მიმალვისა და სასამართლოში არ გამოცხადების საფრთხე. | 23 |
| | 3.2.2. საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხე..... | 27 |
| | 3.2.3. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. | 28 |
| | 3.3. სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების საფუძვლები..... | 32 |
| | 3.3.1. პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე..... | 32 |
| | 3.3.2. პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით..... | 33 |
| | 3.3.3. პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი. | 34 |
| | 3.3.4. პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო..... | 35 |
| | 3.3.4.1 დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიმალული პირის ამოცნობასა და საგამომიებო მოქმედების - ამოცნობას შორის განსხვავება. | 36 |
| | 3.3.5. პირი შესაძლოა მიიმალოს. | 36 |
| | 3.3.6. პირი ძებნილია. | 37 |

| | |
|--|----|
| 3.3.7. ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი. | 37 |
| 4. პირის დაკავება სასამართლოს განჩინებით..... | 38 |
| 5. შუამდგომლობა პირის დაკავების შესახებ. | 39 |
| 5.1. შუამდგომლობის განხილვა და განჩინების სამართლებრივი მოქმედება. . | 41 |
| IV. დაკავების წესი..... | 42 |
| 1. დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები..... | 42 |
| 1.1. დამკავებელი პირი..... | 42 |
| 1.2. დამნაშავის შემპყრობი. | 43 |
| 2. დაკავებისას ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დამწყები პირის საკითხი..... | 44 |
| 3. იმუნიტეტის მქონე პირების დაკავების წესი. | 45 |
| 3.1. დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების დაკავების წესი..... | 46 |
| 3.2. საქართველოს პრეზიდენტის დაკავების წესი..... | 47 |
| 3.2.1. განსხვავება აბსოლუტური იმუნიტეტის მქონე პირთა დაკავებასა და შეზღუდული იმუნიტეტის მქონე პირთა დაკავებას შორის. | 48 |
| 4. არაიდენტიფიცირებული პირის დაკავება. | 49 |
| 5. დაკავების პროცედურა..... | 51 |
| 5.1 დაკავებული პირისათვის ძირითადი უფლებების განმარტება..... | 51 |
| 5.2 დაკავების ოქმი | 52 |
| 6. დაკავებული პირის შემთხვევაში სასამართლოს ვალდებულება გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენების შესახებ. | 54 |
| 7. დაკავების წესი ევროპის ქვეყნების სამართალში. | 56 |
| V დასკვნა..... | 58 |
| სამეცნიერო ლიტერატურა..... | 68 |

I. შესავალი

თემის აქტუალობა: ადამიანის თავისუფლება კონსტიტუციით დაცული სფეროა, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი იცავს თითოეულ ადამიანს, სახელმწიფოს მხრიდან არამართლზომიერი და გაუმართლებელი ჩარევისგან.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ სამოქალაქო პაკტის მე-9 მუხლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, არავინ არ შეიძლება თვითნებურად დააკავონ ან დააპატიმრონ, არავის შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურისა.“

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

როგორც აღინიშნა, ადამიანის თავისუფლება - საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებით გათვალისწინებული უფლებაა. მიუხედავად ასეთი მაღალი რანგის სამართლებრივად დაცული სიკეთისა, იგი არ წარმოადგენს აბსულუტურ უფლებას და მასში ჩარევას ითვალისწინებს როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტები.

სადაც არის უფლებაში ჩარევის დაშვება, იქ ავტომატურად ჩნდება მაღალი რისკი, უფლების არამართლზომიერი ხელყოფის, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა, ასევე თოთოეულმა პირმა იცოდეს თუ რა შემთხვევაში შეიძლება პირის დაკავება. ამასთანავე პირის დაკავების დროს რა უფლებებით სარგებლობს დაკავებული პირი და რა ვალდებულებები გააჩნია დამკავებელ პირს. ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის ანალიზი, რომელიც აწესებს სტანდარტებს პირის მართლზომიერი დაკავებისთვის.

პირის თავისუფლების ხელყოფას და ხელშეუხებლობის დარღვევას, როგორც წესი თან სდევს პირის პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვა.¹

როგორც საერთაშორისო პრეცედენტული სამართალი ასევე ეროვნული კანონმდებლობა აცხადებს, რომ პირის დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაბამისად მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა შემთხვევა წარმოადგენს უკიდურეს აუცილებლობას და რა საფუძვლის არსებობისას შეიძლება პირის დაკავება.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმ უფლებების შესწავლა და კვლევა, რომელსაც საერთაშორისო სამართალი და ეროვნული კანონმდებლობა ანიჭებს დაკავებულ პირს. აგრეთვე, ძალზედ მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ ვის და რა შემთხვევებში შეუძლია პირს აღუკვეთოს თავისუფლება, ასევე რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს - პირის დაკავებისას.

ნაშრომში ასევე წაროდგენილია იმუნიტეტის მქონე პირთა და არაიდენტიფიცირებულ პირთა დაკავებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის ბს-485-474(2კ-14) გადაწყვეტილება.

ნაშრომში განხილულია პირის დაკავების როგორც ფორმალური ასევე ფაქტობრივი საფუძვლები, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დაწესებული სტანდარტები და რეგულაციები.

კვლევის მიზანი და ამოცანები.

კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს თავისუფლების უფლების შეზღუდვასთან - დაკავებასთან დაკავშირებით, როგორც საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შესწავლა და მათი ანალიზი, ასევე საერთო სასამართლოებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული სტანდარტები. ამასთანავე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კვლევა, მათი ანალიზი და საქართველოს კანონმდებლობასთან შედარება. მათი ანალიზის საფუძველზე ორიენტირების განსაზღვრა, სამართლებრივი ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზების დასახვა.

კვლევის მეთოდები.

ნაშრომში გადმოცემული და აღწერილია როგორც ეროვნული კანონმდებლობა ასევე საერთაშროსი სამართლის ნორმები. ამასთანავე, ნაშრომში გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და მათი შედარებით საქართველოს პრაქტიკასთან შემუშავებული იქნა ახალი ხედვები. ასევე, გამოყენებულია ანალიტიკური, იურიდიულ განმარტებითი და ტელეოლოგიური კვლევის მეთოდები.

ლიტერატურის მიმოხილვა.

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილულია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის, როგორც პრაქტიკოსი იურისტების მიერ შედგენილი, ასევე თეორიტიკოსების მიერ შემუშავებული ლიტერატურა. ასევე განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ლიტერატურა. ლიტერატურის მიმოხილვის პროცესში ასევე წარმოდგენილია განსხვავებული შეხედულებები და აზრები.

ასევე გამოყენებული იქნა საქართველოს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული აქტები, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინებები, ასევე განხილულია რაიონული და საქალაქო სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებები.

ნაშრომში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. ამასთანავე გაანალიზებული და გადმოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული არაერთი გადაწყვეტილება, რომელთა ანალიზიც დამეხმარა თითოეული საკითხის სრულყოფილად შესწავლასა და გადმოცემაში.

II. თავისუფლების უფლება

1. თავისუფლების უფლება

თავისუფლების უფლება ერთ-ერთი უმთავრესია უფლებათა რიგში. ის იცავს პირს სამართალწარმოების პროცესში არამართლზომიერი და თვითნებური თავისუფლების შეზღუდვისაგან. თავისუფლების შეზღუდვის შედეგად პირს ერთმევა შესაძლებლობა მთელი რიგი უფლებების პაკეტზე წვდომის. თავისუფლებაშეზღუდულ ადამიანის აღარ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილდეს, იყოს მისთვის სასურველ ადგილას და გარემოში, აკეთოს ის რაც მას სურს.

თავისუფლების უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ასევე ამ უფლების ხანგრძლივი ისტორია და მისი საყოველთაო ხასიათი. მისი წარმოშობა იმ საფრთხეს უკავშირდება, რომელიც ადამიანს ემუქრება შეუზღუდავი ხელისუფლების მხრიდან.² საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, „ (თავისუფლების) ამ უფლებას ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ნებისმიერი კლასიკური კატალოგი, როგორც ეროვნული კონსტიტუციების, ასევე საერთაშორის სამართლის დონეზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.³

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.3;

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.3;

2. დაცული სფერო და მასში ჩარევა

ადამიანის თავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სფეროს, რომლის დაცვაც საქართველოს კონსტიტუციისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის 1-ლ პუნქტში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რომ „ადამიანის თავისუფლება დაცულია“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია - „თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით“. რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მასში ჩარევა დასაშვებია. ამასთანავე თავად კონსტიტუციამ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის ექსკლუზიური უფლება სასამართლოს მიანიჭა, რათა არ მოხდეს თავისუფლების აღკვეთაში ან/და თავისუფლების შეზღუდვაში გაუმართლებელი ჩარევა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, რაც თავისთავად ნიშნავს იმ ფაქტს, რომ ამ უფლებაში ჩარევა შესაძლებელია.⁴ საქართველოს კონსტიტუცია ასევე თავად განსაზღვრას თუ რა შემთხვევაში შეიძლება ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა და აწესებს ამ უფლებაში ჩარევის ზღვარსა და სტანდარტებს. კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ“, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ადამიანის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით, ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე ადამიანის დაკავება წარმოადგენს არაკონსტიტუციურ ქმედებას.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება, II.3.6;

3. პიროვნების თავისუფლება, როგორც ევროპული კონვენციით დაცული სფერო.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია (შემდგომში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია” ან ევროპული კონვენცია”) სხვა უფლებებთან ერთად იცავს ადამიანის თავისუფლების უფლებას. ადამიანის თავისუფლების დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, რომლის მთავარი ამოცანაც ადამიანის თავისუფლების დაცვაა. ევროკონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს უფლება იყოს თავისუფალი. თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. პირადი თავისუფლება არის ის ძირითადი მდგომარეობა, რომლითაც ზოგადად ყველა ადამიანი უნდა სარგებლობდეს.

თავისუფლებაში იგულისხმება პირის ფიზიკური თავისუფლება⁵, პირადი თავისუფლება მე-5 მუხლის თვალსაზრისით ნიშნავს დაკავების ან დაპატიმრების არარსებობას. უსაფრთხოების უფლება არის დაკავებასა და დაპატიმრებასთან მიმართებით თვითნებობის წინააღმდეგ გარანტი. სასამართლოს პრეცედენტული სამართლით: პირის თავისუფლების აღმკვეთი ნებისმიერი ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს მე-5 მუხლის მოთხოვნას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ დაკავებულმა პირმა ჩიდინა დანაშაული, თავისუფლების თავდაპირველი შეზღუდვის მართლზომიერების აუცილებელი პირობაა, მაგრამ უნდა არსებობდეს კიდევ სხვა „რელევანტური“ და „საკმარისი“ გარემოებები, რომლებიც ამართლებენ პირის პატიმრობაში ყოფნას.

ისევე როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაც, აცხადებს, რომ თავისუფლების უფლება არ არის

⁵ ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ.

ახსოლუტური უფლება, მისი შეზღუდვა დასაშვებია და ადგენს თუ რა შემთხვევებშია ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვა დასაშვები.

კონვენციის მე-5 მუხლი (1-ც) „პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა“ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ კონვენცია პირის დაკავების უფლებას უფლებამოსილი სასამართლოს ორგანოს წინაშე მის წარსადგენა იძლევა როდესაც :

- ✓ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი სამართალდარღვევის ფაქტის ჩადენის,
- ✓ ან როდესაც დაპატიმრება საფუძვლიანად დასტურდება სამართალდარღვევის აღსაკვეთის მიზნის მისაღწევას.
- ✓ სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ არსებობს მიმალვის საშიშროება.

არ არის აუცილებელი ამ სამი გარემოებების კუმულაციური თანხვედრა. საკმარისია, ადამიანის მიერ ჩადენილ ქმედებაში იკვეთებოდეს დანაშაულის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან ადგილი ჰქონდეს საფუძვლიანად დადასტურებული სამართალდარღვევის აღკვეთას, ან იკვეთებოდეს სავარაუდო სამართალდარღვევის მიმალვის ფაქტი იმისათვის, რომ გამართლებული იყოს მისთვის დაპატიმრება.⁶

„სამართალდარღვევის“ ცნება კონვენციის ავტონომიური კონცეფციაა და დამოკიდებულია არამხოლოდ ადგილობრივ კლასიფიკაციაზე, არამედ აგრეთვე, „თავად სამართალდარღვევის ბუნებასა“ და სასჯელის სიმკაცრის ხარისხზე.⁷

⁶ ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კონტექსტში. 2019 გვ.128

⁷ ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კონტექსტში. 2019 გვ.128

„გონივრული ექვის“ მნიშვნელობა პირველად განისაზღვრა საქმეში „ ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ⁸, როგორც ფაქტებისა ან ინფორმაციის არსებობა, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირს შეეძლო ჩაედინა სამართალდარღვევა, ხოლო ის თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „გონივრულად“ დამოკიდებულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე.⁹

ექვი გონივრულად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როცა პირის სავარაუდო დანაშაულის ჩადენასთან ობიექტურად მაკავშირებელ ფაქტებსა და ინფორმაციას ეფუძნება ამისათვის საჭიროა, არსებობდეს ქმედების დამამტკიცებელი გარემოებები, რომლებიც უშუალოდ შესაბამის პირს ამხელს დანაშაულის ჩადენაში. თავისუფლების აღკვეთა არ უნდა ეფუძნებოდეს გრძნობებს, ინტუიციას თუ წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს (იქნება ეს ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის), რამდენად დამაჯერებლადაც არ უნდა მეტყველებდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე .

ის უბრალო ფაქტი, რომ პირს შეიძლება წარსულში რაიმე, თუნდაც ანალოგიური, დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, არ შეიძლება იძლეოდეს გონივრული ექვის საფუძველს.¹⁰

⁸ FOX, CAMPBELL AND HARTLEY V UK.

⁹ იქვე

¹⁰ აღნიშნული მიდგომა ევროპულმა სასამართლომ ცხადყო საქმეში ფოქსი, კემპბელი და ჰარტლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.

III. პირის დაკავების საფუძვლები.

1. დანაშაულის ჩადენა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს პირის დაკავების ორ სახეს, პირველი ეს არის სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ხოლო მეორე - სასამართლოს განჩინების გარეშე. ორივე მათგანის შედეგი ერთია - პირს აღეკვეთება თავისუფლება. პირის დაკავების ორივე შემთხვევაში აუცილებელია არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად ადგენს რამდენიმე სახის სტანდარტს, მათ შორის ყველაზე დაბალი ხარისხის სტანდარტია - დასაბუთებული ვარაუდი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი განსაზღვრავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს - „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა...“¹¹.

შესაბამისად, პირის დასაკავებლად საჭიროა, არსებობდეს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილეს ობიექტურ პირს, რათა იფიქროს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული.

¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

1.1. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

დანაშაულის ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის მე-7 მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობის საფუძველს, ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“. დანაშაულის ცნება აგებულია დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზე. დანაშაულის სისტემური ელემენტებია: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. მართლწინააღმდეგობა უნდა გავიგოთ როგორც წინააღმდეგობა კულტურის ნორმებისადმი, ხოლო ბრალი - როგორც ნორმატიული შეფასებითი კატეგორია¹².

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ პასუხისმგებლობის საფუძველია - დანაშაული, ანუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად არავინ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალდებულად სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში იმ ქმედების თუ უმოქმედობის გამო, რომლის ჩადენის დროს აღნიშნული ქმედება ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის თანახმად არ წარმოადგენდა დანაშაულს.

გარანტია, რომელსაც ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი მოიცავს, წარმოადგენს სამართლის უზენაესობის არსებით ელემენტს¹³. დანაშაული ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს კანონით განსაზღვრული, ტერმინი „კანონი“ მოიცავს ხარისხობრივ მოთხოვნებს, რომელთა შორისაცა კანონის ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნები „კანონის

¹² სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მე-9 გამოცემა. მერაბ ტურავა.გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013

¹³ „ვიტალი ნიშნიანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კონსტიტუციური სარჩელი №518,

ხარისხობრივ მოთხოვნებში“ მოიაზრება საკანონმდებლო ნორმის განსაზღვრულობის ხარისხი, თუ რამდენად განსაზღვრული, მკაფიო და გასაგებია.¹⁴

1.2. სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებს გარეთ არსებული დანაშაულის ჩადენისათვის პირის სისხლისსამართლებრივი წესით დაკავება.

როგორც აღინიშნა, დანაშაულს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება. სასჯელის საფუძველი კი არის დანაშაული, შესაბამისად ამ ორი წინადადების შერწყმით გამოდის, რომ მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის არის დაწესებული სასჯელი, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ბოლო პერიოდში განხორციელებულმა ქმედებებმა კი დაგვანახეს, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია არამარტო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ ასევე საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტის და მასში მოთხოვნილი პირობების დარღვევისათვის.

ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით¹⁵, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ, 2020 წლის 21 მარტს გამოიცა დეკრეტი. ამავე დეკრეტში გაიწერა დეკრეტის

¹⁴ იქვე.

¹⁵ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტი.

დარღვევისათვის მოსალოდნელი როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახე ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახე, კერძოდ დეკრეტის მე-8 მუხლში აღინიშნა, რომ „ ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. ამ დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევს:

1. ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ჯარიმას ფიზიკური პირებისათვის 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისათვის – 15 000 ლარის ოდენობით.

2. ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, ხოლო ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

შესაბამისად პრეზიდენტის დეკრეტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების ჩადენისას დაწესდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლის სანქციაც განისაზღვრა თავად პრეზიდენტის დეკრეტში. პრეზიდენტის დეკრეტი, მოვიდა სამართლებრივ კოლიზიაში საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსი მე-7 მუხლთან, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მსჯელობის საგანი გახდა დეკრეტის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, ზოგიერთნი ფიქრობდნენ, რომ ვინაიდან სისხლისსამართლის კოდექსში განსაზღვრული არ იყო პრეზიდენტის დეკრეტის დარღვევისათვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს ვერ დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა, ხოლო მოწინააღმდეგენი კი ფიქრობდნენ, რომ დეკრეტი არის იერარქიულად

უფრო მაღლა მდგომი და შესაბამისად შესაძლებელია დეკრეტით განსაზღვრულ შეთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება. არსებობას იმსახურებს როგორც ერთი ისე მეორე მხარის მოსაზრება. მეორე მხარის პოზიციას საფუძვლად უდევს - „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი იერარქიულად მაღალ საფეხურზეა და შესაბამისად მისი მოქმედების არეალი ვერ შემოიფარგლება სისხლის სამართლის კოდექსით, რაც გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ასეთ შემთხვევაში პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ აღნიშნა, რომ „კონვენციის მე-7 მუხლის §1 სცდება სისხლის სამართლის ბრალდებულის საზიანოდ რეტროსპექტიულად გამოყენების აკრძალვას. იგი ასევე ადგენს, უფრო ზოგადად, პრინციპს, რომ მხოლოდ კანონი განსაზღვრავს დანაშაულს და აწესებს სასჯელს. როდესაც იგი კრძალავს არსებული დანაშაულების ფარგლების იმ ქმედებებზე გავრცელებას, რომლებიც ადრე არ იყო სისხლის სამართლებრივი დანაშაულები, ამავე დროს ადგენს იმ პრინციპს, რომ სისხლის სამართალი არ უნდა განიმარტოს ფართოდ ბრალდებულის საზიანოდ. მაგალითად, ანალოგიით. აქედან გამომდინარე დანაშაულები და შესაბამისი სასჯელები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით. ეს მოთხოვნა შესრულებულია, როდესაც პირს შესაბამისი დებულების ტექსტიდან შეუძლია იცოდეს, ან თუ საჭიროა სასამართლოს განმარტების დახმარებით, რა ქმედებები და უმოქმედობები გამოიწვევენ მის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.¹⁶

შესაბამისად, სასჯელები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული, ისინი არ უნდა იყოს გაფანტული. ასახული უნდა იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

¹⁶ საქმე „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი №45554/08) 15 ივლისი 2014.

2. სასჯელის სახით - გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლი განსაზღვრავს დაკავების საფუძვლებს, ამავე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს პირის დაკავებას სასამართლოს განჩინების გარეშე, რომლის მიხედვითაც პირის დაკავების აუცილებელი წინაპირობაა „დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა.“

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, არ შეიძლება პირი დაკავებულ იქნეს იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილში ასახული, ნორმის მიხედვით გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, სასამართლოს განჩინების გარეშე, პირის დაკავება შეიძლება ნებისმიერი დანაშაულის ჩადენისათვის, მიუხედავად იმისა ამ დანაშაულს სასჯელის სახედ გათვალისწინებული აქვს თუ არა თავისუფლების აღკვეთა. მსგავსი სახის მსჯელობა ვითარდება ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებშიც.¹⁷ მართალია აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს სსსკ-ის 171-3 მუხლიდან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი არ არის მართებული. პარადოქსია, ადამიანი დააკავო იმ ქმედების გამო, რომელის ჩადენისთვისაც კანონი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

¹⁷ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ერთდროულად უნდა მტკიცდებოდეს ორივე წინა პირობის არსებობა, როგორც ის, რომ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული, ასევე მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის არსებობა. ერთერთი ამ წინაპირობის არარსებობა გამორიცხავს დაკავების გამოყენების შესაძლებლობას და მას უკანონოდ აქცევს. მაგალითად, თუ პირს ბრალი ედება დანაშაულში, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, მის მიმართ სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავების გამოყენება არ დაიშვება (მაგრამ არ გამოირიცხება გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში დაკავება), თუნდაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იყოს დამტკიცებული მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის არსებობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კომენტარები . გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2015. გვ 502-503.

3. პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა¹⁸“.

კანონმდებლობის მოთხოვნაა, რომ პირის დასაკავებლად არსებობდეს როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) ასევე ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები, სწორედ აღნიშნული საფუძვლების არსებობის პირობებში, ადამიანისათვის თავისუფლების შეზღუდვა შეესაბამება კანონს, სხვა ყველა შემთხვევაში სახეზე გვექნება უკანონო დაკავება.

3.1. სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების ფაქტობრივი საფუძვლები.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ აწესებს თუ რა სახის მტკიცებულება იძლევა პირის დასაკავებლად დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, შესაბამისად საფუძველი შეიძლება იყოს: გამოკითხვის, ამოცნობის ან/და ჩხრეკის ოქმები და ამოღებული ნივთმტკიცება, ექსპერტიზის დასკვნა, საგამომიებო ექსპერიმენტი ან/და სხვა ნებისმიერი სახის მტკიცებულება, რომელშიც ასახული ინფორმაცია

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

საქმის გარემოებებთან ერთობლიობაში ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ დანაშაული ამ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა.

ხშირად ხდება მსჯელობის საგანი თუ რამდენად ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს სამართლადამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაცია?! რა თქმა უნდა მარტო ოპერატიული ინფორმაცია თუ ის გამყარებული არ არის სხვა სახის მტკიცებულებით ვერ შექმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, შესაბამისად ის ვერ იქნება პირის დაკავების საფუძველი, მსგავსი სახის მსჯელობა ვითარდება ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „ოპერატიული ინფორმაცია არ შეიძლება საფუძველად დაედოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას“¹⁹

მაგალითად: ოპერატიული თანამშრომლის მიერ მიღებული ინფორმაცია, რომ პირს თან აქვს ნარკოტიკული საშუალება, არ იძლევა ამ პირის დაკავების საფუძველს. აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია ჩატარდეს პირის ჩხრეკა, მისგან თუ იქნება ამოღებული ნარკოტიკული საშუალების მსგავსი ნივთიერება აღნიშნული უკვე შექმნის პირის დაკავებისათვის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.

დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს მას შემდეგ ეძლევა უფლება დააკავოს პირი, როცა საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებები შექმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკავება იქნება უკანონო. სწორედ ასეთი სახის ბარიერის დაწესება - „დასაბუთებული ვარაუდის არსებობა“ უზრუნველყოფს, პირის თავისუფლებაში არამართლზომიერ და თვითნებურ ჩარევისგან დაცვას.

¹⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის N1/ზ-555-12 განაჩენი.

3.2 სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების ფორმალური საფუძვლები.

დაკავების ორივე წესის შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ერთდროულად უნდა მტკიცდებოდეს, პირის მხრიდან როგორც დანაშაულის ჩადენა, ასევე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხის არსებობა. ერთ-ერთი ამ წინაპირობის არარსებობა გამორიცხავს დაკავების გამოყენების შესაძლებლობას და მას უკანონოდ აქცევს.²⁰

შესაბამისად სახეზე უნდა იყოს როგორც ფორმალური (საპროცესო) ასევე ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს პირის დაკავების ფორმალურ საფუძვლებს:

- ✓ პირის მიმალვისა და სასამართლოში არ გამოცხადების საფრთხე.
- ✓ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხე.
- ✓ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

იმისათვის, რათა მოხდეს პირის დაკავება აუცილებელია ზემოაღნიშნული საფრთხეები იყოს მაღალი ხარისხით და საქმის გარემოებები მიუთითებდეს, რომ პირის არდაკავების შემთხვევაში ისინი თავიდან ვერ იქნება აცილებული.

3.2.1. პირის მიმალვისა და სასამართლოში არ გამოცხადების საფრთხე.

მიმალვის საფუძვლით პირის დაკავების შემთხვევაში „მიმალვის საფრთხე“ უნდა იყოს, იმდენად რეალური და ხარისხობრივად იმდენად

²⁰ სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები. ავტორთა კოლექტივი გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2015. გვ 503

მაღალი, რომ მის აღსაკვეთად ერთადერთი გზა იყოს - პირის დაკავება. აღნიშნულით კი დგინდება, რომ მას სჭირდება შეფასება, კანონი არ ამბობს თუ რა ფაქტობრივი გარემოება შეიძლება მოასწავებდეს პირის მიმალვას. ამის შეფასებას ის უტოვებს დამკავებელ პირს. შესაბამისად ყოველთვის არის საფრთხე იმისა, რომ დამკავებელმა პირმა სათანადოდ არ შეაფასოს პირისგან მომდინარე საფრთხე და მოახდინოს პირის დაკავება.

რა გარემოება შეიძლება მოასწავლებდეს პირისაგან მიმალვის მომეტებულ საფრთხეზე, რათა მოხდეს მისი დაკავება?! რა თქმა უნდა ამის ამომწურავი ჩამონათვალი არ არსებობს, ყველა საქმეში და ყველა პირის მხრიდან ეს ინდივიდუალურად მომდინარეობს, უფრო მეტიც ერთი პირის მხრიდან ორ სხვადასხვა დროს ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში შეიძლება ერთ შემთხვევაში იყოს მიმალვის საფრთხე, ხოლო მეორე შემთხვევაში არა. ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას - პირის დაკავების შესახებ, დამკავებელი პირის მხრიდან მნიშვნელოვანია სწორი შეფასება.

მიმალვის საფრთხე უნდა შეფასდეს ყველა გარემოებაზე დაყრდნობით, როგორც პირის ქცევაზე შესაძლო დანაშაულის ჩადენამდე, ასევე შესაძლო დანაშაულის ჩადენის შემდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე Mamedova v. Russia განმარტა, რომ მიმალვის საფრთხე უნდა ეყრდნობოდეს ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებს. მოცემულ საქმეში ეროვნულმა სასამართლოებმა არ მიუთითეს განმცხადებლის რაიმე პიროვნულ ნიშანსა ან ქცევაზე, რომელიც გაამართლებდა სასამართლოების გადაწყვეტილებას, რომ არსებობდა განმცხადებლის მიმალვის აშკარა საფრთხე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 11 ნომბრის N1გ/1722-16 განჩინებაში ვკითხულობთ, „ გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულ დ. ხ.-ს დაკავება ცნობილი უნდა ყოფილიყო უკანონოდ, რის გამოც ბრალდებულის მიმართ გამოყენებული საპროცესო

ლონისძიება-დაკავება უნდა გაუქმებულიყო. კერძოდ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დაზარალებულის მიერ პოლიციის გამოძახებიდან პირის დაკავებამდე გასულია დაახლოებით ნახევარი საათი რა დროსაც დაკავებული პირი დ. ხ. იმყოფებოდა საცხოვრებელ სახლში და დროის მითითებული პერიოდის განმავლობაში იგი არსად მიმალულა, მან იცოდა მეუღლის მიერ საპატრულო პოლიციის გამოძახების შესახებ“²¹

აღნიშნული ჩანაწერით დგინდება, რომ შესაძლო დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ შემთხვევის ადგილას ყოფნა, თანაც იმ პირობებში, როცა მან იცის, რომ მისი ქმედების გამო გამოძახებულია სამართალდამცავი ორგანო და თანაც მას აქვს შესაძლებლობა დატოვოს ადგილი, რასაც იგი არ აკეთებს, გამორიცხავს მისი მხრიდან მიმალვის საფრთხის იმ დოზით არსებობას, რომ გამოყენებული იქნეს დაკავება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის განჩინებაში²² აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 დეკემბრის N10/7155-14 განჩინებით გ.კ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. ამასთან იგი გათავისუფლდა დაკავებიდან. ბრალდებულის დაკავებას საფუძვლად დაედო ვარაუდი მისი მიმალვის შესახებ. ბრალდებულის დაკავება განხორციელდა პოლიციის განყოფილებაში მაშინ, როდესაც ბრალდებულმა ნებაყოფლობით მიიღო მონაწილეობა საგამომიებო მოქმედებებში, თავისი ნებით გამოცხადდა საგამომიებო ორგანოში და დაიკითხა მოწმის სახით. აღნიშნული კი გამორიცხავდა დასაბუთებული ვარაუდის არსებობას ბრალდებულის შესაძლო მიმალვის თაობაზე, რადგან ბრალდებულმა იცოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ და ამის მიუხედავად, მცდელობაც კი არ ჰქონია, თავი აერიდებინა საგამომიებო მოქმედებებისთვის.

²¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნომბრის N1გ/1722-16 განჩინება

²² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის განჩინება, საქმე 3ბ/1547-15წ

პირის მხრიდან მიმალვის საფრთხეზე მიანიშნებს მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენის შემდეგ, შემთხვევის ადგილის მიტოვება.

პირის პიროვნული თვისებები და მის მიერ გამოხატული აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება ზოგადად სამართალდამცავი ორგანოების მიმართ - ასევე მიანიშნებს მის მიმალვის საფრთხეზე.

მოყვანილი მიმალვის საფრთხის დასადგენად არსებული ფაქტორებზე ასევე მიანიშნებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში **CASE OF STÖGMÜLLER v. AUSTRIA** ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადგენს, რომ მიმალვის საფრთხე უნდა გონივრულად დადგინდეს ისეთ ფაქტორებზე მითითებით, როგორებიცაა მაგალითად შემთხვევა, როდესაც პირს უწინაც უცდია კანონიერი სასჯელისთვის თავის დაღწევა ქვეყნიდან მიმალვით, აქვს განსაკუთრებული „ზიზღი პატიმრობის მიმართ“, აქვს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მყარი კავშირები, არსებობს მიმალვის გეგმის კონკრეტული ნიშნები და ა.შ. როგორც აღინიშნა, ევროპულმა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე არ არის მიმალვის საფრთხის გამართლების საშუალება, თუ ამ კრიტერიუმს სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტებიც არ სდევს თან. აღნიშნული კრიტერიუმები არ არის ამომწურავი: „სხვა შესაბამისი რელევანტური ფაქტორები და განსაკუთრებით მათი კომბინაცია შესაძლებელია იყოს მიმალვის საფრთხის განსაზღვრის საფუძველი საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე (**Stogmuller v. Austria**).²³

მიმალვის საფრთხის არსებობის დადგენა საჭიროებს მოცემული გარემოებებისა და პიროვნული თვისებების ერთობლივ კომბინაციურ ანალიზსა და სწორდ შეფასებას.

²³ **CASE OF STÖGMÜLLER v. AUSTRIA**, იხ: <https://hudoc.echr.coe.int/rus#%22itemid%22:%22001-57582%22>]

3.2.2. საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხე.

პირის დაკავების ერთ-ერთ ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურება. აღნიშნულ საფუძველსაც, ისევე როგორც მიმალვის საფრთხეს სჭირდება დამკავებელი პირის მიერ სწორად შეფასება. საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხეზე სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება მიანიშნებდეს, მაგალითად დანაშაულის ჩადენის შემდეგ პირმა თავიდან მოიშორა მისი მამხილებელი მტკიცებულებები, მკვლელმა, რომელსაც ტანსაცმელზე აღნიშნებოდა სისხლის კვლები მოახდინა ამ ტანსაცმლის გარეცხვა ან/და განადგურება, გადაადგო დანაშაულის ჩადენის იარაღი, მოახდინა კვლების წაშლა, ასევე იგი ცდილობს იმ პირთა დაყოლიებას და მათი აზრის დათრგუნვას ვინც ფლობს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციას.

მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე, როგორც ამას მოწმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკა, დაკავშირებულია არამარტო ნივთიერი მტკიცებულებების განადგურებასთან არამედ პოტენციურ მოწმეებზე შესაძლო ზემოქმედების განხორციელების საფრთხესთან.

აღნიშნულის გამო უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 170-ე მუხლის მიზნებისათვის მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეში მოიაზრება, როგორც ნივთიერი თუ შინაარსობრივი ობიექტების განადგურების, ასევე მოწმეებზე შესაძლო ზემოქმედების განხორციელების საფრთხეც.

საქართველოსთან მიმართებით მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, განმცხადებელს შეეძლო ზემოქმედება თავის მეგობრებზე, რომლებიც განმცხადებლის მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენას შეესწრნენ. ევროპული სასამართლოს

აზრით, მსგავსი გარემოებების დროს, განმცხადებლის მიერ მოწმეებზე ზემოქმედების შესაძლებლობა არ შეიძლება, რომ გამოირიცხოს და შესაბამისად, ევროპულ სასამართლოს არ შეეძლო, არ დათანხმებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ აღნიშნული საფრთხე რეალური იყო.²⁴

3.2.3. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე უნდა გამომდინარეობდეს როგორც საქმის ფაქტობრივ გარემოებებიდან, ასევე დამნაშავის პიროვნებიდან, მისი წარსულიდან მის მიერ ჩადენილი ქმედების, ქცევის და კანონისადმი დამოკიდებულების შეფასების ერთობლიობით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სწორედ ბრალდებულის წარსულის და პიროვნების ერთობლივად შეფასება მოითხოვა, ახალი დანაშაულის საფრთხის დასადგენად, „დანაშაულის თავიდან აცილების საფრთხის დასაბუთებისას, შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში უნდა მიუთითონ შესაძლო დანაშაულზე, რომლის ჩადენაც დამაჯერებელი ჩანს ბრალდებულის წარსულისა და პიროვნების გათვალისწინებით .²⁵

ახალი დანაშაულის ჩადენის მომეტებულ საფრთხეზე მეტყველებს ასევე დამნაშავე პირის ნასამართლეობა. აუცილებელია განისაზღვროს თუ რა ქმედებისთვის არის პირი ნასამართლევით, თუ იგი ერთი და იმავე სახის დანაშაულისთვის არის გასამართლებული, მაშინ მისი მხრიდან საკმაოდ მომეტებულია ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

როგორც ამას ქართული სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკა ცხადყოფს უმეტეს შემთხვევაში ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება დაკავშირებულია პირის წარსულ ნასამართლეობასთან, მით

²⁴ მიქიაშვილი საქართველოს წინაარმდეგ. (Mikiashvili v. Georgia, განაცხადი no. 18996/06)

²⁵ Clooth v. Belgium, განაცხადი no. 12718/87, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება.

უმეტეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა რამდენიმე განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტი. გარდა ამისა დაკავების საკითხი დღის წესრიგში დგება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე გვაქვს პირობით მჯავრთან, ეს უკანასკნელი საკუთარი ბუნებით ძალიან ჰგავს სასჯელს, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად იგი არ განეკუთვნება სასჯელის სახეს, არამედ სსკ-ის ნორმების სისტემური ანალიზიდან გამომდინარე ჩვენ პირობითი მსჯავრი უნდა მოვიაზროთ, როგორც სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ღონისძიება, რომელზედაც ირიბათ, მაგრამ მაინც არის საუბარი სსკ-ის მე-2 მუხლში, რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.²⁶ პირობითი მსჯავრის პერიოდში ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში პირი ნორმატიული ვალდებულების მიმართ ამჟღავნებს მომეტებული ხარისხის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ერთის მხრივ, ჩადენილი დანაშაულის გამო განხორციელებულ სამართალდარღვევასთან და მეორე მხრივ კი სახელმწიფოს მხრიდან პირის მიმართ გაწეულ შეღავათთან. აღნიშნული გარემოებები ერთობლიობაში ქმნის ბრალის მომეტებულ ხარისხს, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არის ინდივიდუალური და ბუნებრივია, რომ მიანიშნებს პირის მიდრეკილებაზე დანაშაულის ჩადენისაკენ, რაც ნიშნავს ახალი დანაშაულის ჩადენის ისეთ ინტენსივობის საფრთხეს, რაც ამართლებს ბრალდებულის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიების სახით დაკავების გამოყენებას.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე ხშირ შემთხვევაში შეიძლება დაკავშირებული იყოს არა მხოლოდ წარსულში პირის ნასამართლობასთან, არამედ ასევე ჩადენილი

²⁶ სისხლის სამართლის კოდექსი.

დანაშაულის ბუნებასთან და მის თავისებურებასთან. აღნიშნული კუთხით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკულ დანაშაულთა თავით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებებთან, რომელთა ჩამდენი უმეტეს შემთხვევებში არის ნარკოდამოკიდებული პირი, თუმცა მათი პაუზისმგებლობის დასაბუთება, მიუხედავად არსებული აბსტინენტური სინდრომისა, სისხლის სამართლის თეორიაში ხორციელდება OMISIO ACTIO LIBERE IN CAUSA-ს ფორმულის მეშვეობით. სწორედ აღნიშნულ შემთხვევებშიც კანონმდებელს წინა პლანზე აქვს წამოწეული საჯარო უსაფრთხოების ინტერესები და მიუხედავად გარკვეულწილად შეზღუდული ბრალუნარიანობისა მართებულად მიიჩნევს პირის მიმართ დაკავების გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 04 ოქტომბრის N 1გ/1199-17 გადაწყვეტილებას²⁷, რომელშიც სასამართლომ განმარტა, რომ „პირის წარსულში ნასამართლობა ყოველთვის არ მიუთითებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, მაგრამ როდესაც სახეზეა ერთგვაროვანი დანაშაულების რამდენჯერმე ჩადენა, თანაც, თუ ეს დანაშაულები დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებასა ან/და მისგან მომდინარე თანმდევი კანონისმიერი აკრძალვების დარღვევასთან, უნდა მივიჩნიოთ, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რისკის არსებობა არის დასაბუთებული“.

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე ასევე მიაჩნებოდა - პირის სურვილი სამაგიეროს გადახდის - შურისძიების მოტივი. შურისძიების მოტივი თავისთავად გამოწვეული შეიძლება იყოს როგორც დამნაშავის ქმედებით, ასევე მოწინააღმდეგე მხარის მიერ მისთვის მიყენებული ზიანით.

²⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 04 ოქტომბრის N 1გ/1199-17 გადაწყვეტილებას,

შურისძიების მოტივზე დაყრდნობით პირის მხრიდან მომდინარე ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს ხედავს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, საქმეზე მინასიანი სომხეთის წინააღმდეგ.²⁸ სასამართლო ავითარებს მსჯელობას, რომ ორ მხარეს შორის ხანგრძლივი შუღლი მიუთითებს იმაზე, რომ განმცხადებელი გათავისუფლების შემთხვევაში, ჩაიდენს ახალ დანაშაულებს დაზარალებულის მეგობრებისა და ნათესავების წინააღმდეგ.

გარდა აღნიშნულის მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ დაკავება ხშირ შემთხვევაში ყველაზე უფრო ქმედითი მექანიზმია ახალი დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ პირის დაკავების ხანგრძლივობა 72 საათს არ აღემატება გარკვეულ შემთხვევებში იგი შეუცვლელი საშუალებაა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულის მაგალითს წამოადგენს ოჯახურ დანაშაულებთან მიმართებაში დღევანდელი სასამართლო და საგამომიებო პრაქტიკა. სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლთან მიმართებაში დღეის მდგომარეობით განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება, დაკავების ღონისძიება, რის საფუძველსაც წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ოჯახი არის ერთგვარი ჩაკეტილი სოციალური, სადაც ოჯახის წევრებს გააჩნიათ ერთმანეთთან ყოველდღიური, უშუალო შეხება, რაც არსებული კონფლიქტური სიტუაციის გათვალისწინებით ხშირ შემთხვევაში რეალურ საფრთხეს უქმნის მისი წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. სწორედ ამიტომაც არსებული კონფლიქტის განმუხტვის და მოძალადის განცალკევების ქმედით საშუალებას წარმოადგენს პირის დაკავება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ პირის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის იმ დოზით შეფასება, რომ მის გასანეიტრალებლად აუცილებელი იყოს მხოლოდ ერთადერთი საშუალება - დაკავება, უნდა ემყარებოდეს ერთობლიობაში შეფასებულ რამდენიმე ფაქტს, რომლითაც ობიექტურად დასაბუთდება,

²⁸ საქმეზე მინასიანი (Minasyan) სომხეთის წინააღმდეგ (განაცხადი no. 44837/08)

რომ პირისგან მომდინარეობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რომლის აცილებაც სხვა ალტერნატიული ღონისძიებით ვერ მიიღწევა. ცალკე აღებული ზოგადი სახის გარემოებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის დაკავებას.

3.3. სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების საფუძვლები.

3.3.1. პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე.

აღნიშნული გულისხმობს შემთხვევას, როცა დამკავებელი უფლებამოსილი პირი კანონის სავარაუდო დამრღვევს წაასწრებს და აკავებს დანაშაულის განხორციელების პროცესში, როცა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ან იმწუთიერად დასრულდა დანაშაულის ჩადენა და ბრალდებული დამკავებელი პირის თვალთახედვის არეშია²⁹.

ჩადენისთანავე - გულისხმობს როგორც უშუალოდ დანაშაულებრივი ქმედების დასრულებისთანავე წაასწრებას, ასევე იგი შეიძლება მოიცავდეს დროის მცირე მონაკვეთს დანაშაულის ჩადენის შემდეგ.³⁰

აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ დგინდება, რომ სსსკ-ის 171-2-„ა“ ქვეპუნქტით არსებულ საფუძვლით მოლოდ მაშინ არის შესაძლებელი პირის დაკავება, როცა იგი დამკავებელმა პირმა უშუალოდ დაინახა დანაშაული ჩადენის პროცესი და დანაშაულებრივი ქმედების მომენტიდან დაკავებამდე არის ძალიან მცირე დრო გასული, ამასთანავე დამნაშავე არ უნდა იყოს დამკავებლის მხედველობის არიდან მიმალული.

²⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის №1გ/1722-16 განჩინება.

³⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015 გვ.505

3.3.2. პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით.

აღნიშნული პუნქტით პირის დაკავებას და წინა ქვეპუნქტში მოცემულ დაკავებას შორის ერთ-ერთ ძირითად განსხვავებას წარმოადგენს ის პაქტი, რომ ამ შემთვევაში დამნაშავე პირი შეიძლება იყოს არამართო დამკავებელი პირი, არამედ სხვა ნებისმიერი პირი, რომელმაც დაინახა თუ როგორ ჩადიოდა დამნაშავე დანაშაულს, რაც მან უთხრა ადგილზე სამართალდამცავებს.

აღნიშნული საფუძველი მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს, რომელიც ერთობლივად უნდა იყოს სახეზე, რათა პირის დაკავების საფუძველი გახდეს, კერძოდ პირი უნდა დაინახონ დანაშაულის ადგილას და მისი დევნა ხორციელდება დაკავების მიზნით. ამასთანავე დანაშაულის ჩადენის შემდეგ მის დაკავებამდე გასული არ უნდა იყოს დიდი დრო.

სისხლის სამართლი საპროცესო კოდექსის კომენტარებში მითითებულია, რომ „ა“ ქვეპუნქტისგან განსხვავებით, „ბ“ ქვეპუნქტი პირის დაკავების ორ წინაპირობას ითვალისწინებს კუმულაციურად:

1) დაიშვება იმ პირის დაკავება, რომელიც დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას (იმის მიუხედავად, რამდენად აქვს მოცემულ პირს შეხება ჩადენილ დანაშაულთან); 2) მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება დადევნება მისი დაკავების მიზნით. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც, თუ პირი შემთხვევით/ცნობისმოყვარეობის/დაზარალებულისთვის დახმარების აღმოჩენის სურვილის გამო აღმოჩნდა შემთხვევის ადგილას, მისი დაკავება დასაშვებია, თუ მის მიმართ დევნა უწყვეტად გრძელდება (მხედველობის არიდან არ მიმალულა) შემთხვევის ადგილიდან დაკავებამდე.³¹ ვერ დავეთანხმები აღნიშნულ მსჯელობას, რომელიც უშვებს იმ პირის

³¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015. გვ: 506

დაკავებას, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია და მას მხოლოდ იმიტომ აკავებენ, რომ შემთხვევით აღმოჩნდა შემთხვევის ადგილას. არ შეიძლება პირი დააკავო შემთხვევით, ასეთი მიდგომით გამოდის, რომ ნებისმიერი პირი შეიძლება დააკავო. სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ასე შეფასება არ შეიძლება, რადგან მართო შემთხვევის ადგილას პირის დანახვა არ კმარა ამ პირის დასაკავებლად. მის მიერ დანაშაულის ჩადენაზე თუ არ მიანიშნებს რაიმე სახის მტკიცებულება მისი დაკავება არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება.

3.3.3. პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი.

აღნიშნული საფუძველი გულისხმობს მტკიცებულების აღმოჩენას, რომელიც შეიძლება იყოს: პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე.

დანაშაულის აშკარა კვალის - ცნებაში მოიაზრება დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულება, რომელიც შეიძლება იყო ნებისმიერი სახით, მთავარია, რომ ეს მტკიცებულება იყოს აშკარა და მის აღმოსაჩენად საჭირო არ იყოს დამატებით რაიმე სახის კვლევა.

პირზე კვალის არსებობა - განსაზღვრავს დანაშაულის კვალის აღმოჩენის ლოკაციას³², ეს არის დასაკავებელი პირის სხეული. ადამიანის სხეულში იგულისხმება ადამიანის მთელი სხეული, როგორც შინაგანი ასევე სხეულზე გარედან.

მასთან - იმისათვის, რომ დანაშაულის აშკარა კვალი აღმოჩენილად ჩაითვალოს „მასთან“ საჭიროა მტკიცებულება ნანახი და ამოღებული იქნეს უშუალოდ მასთან დაკავშირებული მოძრავი ან უძრავი ნივთიდან.

მის ტანსაცმელზე - დანაშაულის აშკარა კვალი შეიძლება ასევე აღმოჩნდეს დასაკავებელი პირის ტანსაცმელზე, თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ტანსაცმელში მოიაზრება ასევე ფეხსაცმელიც.

³² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა „მერიდინიანი“ 2015 გვ:508

3.3.4. პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიციწო.

იმისათვის, რათა პირი დაკავებულ იქნეს აღნიშნული საფუძვლით საჭიროა კუმულაციურად ორი პირობის არსებობა: პირველი, პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ უნდა მიიმალოს და მეორე იგი თვითმხილველმა უნდა ამოიციწოს.

„თვითმხილველი“ - თვითმხილველის ცნებაში მოიაზრება ყველა, ნებისმიერი პირი, როგორც დაზარალებული ასევე სხვა პირი, რომელმაც უშუალოდ დაინახა დამნაშავე დანაშაულის ჩადენისას და მის მიერ დამახსოვრებული იქნა დამნაშავის გარეგნული ნიშნები, რომლის საფუძველზეც შემდგომ მისი დანახვისას უნდა გაიხსენოს, რომ დანაშაული სწორედ ამ პირმა ჩაიდინა. იმ შემთხვევაში თუ პირმა ამოიციწო დამნაშავე, მიმალვის შემდეგ, უფლება აქვს მოახდინოს მისი შეპყრობა სამართალდამცავ ორგანოსთვის წარდგენის მიზნით, ან/და შესაძლებელია ადგილზე გამოძახებული იქნეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, რომლებსაც თვითმხილველი მიანიშნებს დანაშაულის ჩამდენ პირზე და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები მოახდენენ პირის დაკავებას, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ამომცნობა დეტალურად მიუთითოს თუ რა საშუალებით ამოიციწო, ეს არ უნდა იყოს ზოგადი სახის მითითება. იმ შემთხვევაში თუ პირი გამოკითხულია და დაფიქსირებული აქვს, რომ არ შეუძლია პირის ამოცნობა, მოგვიანებით მის მიერ დამნაშავის ამოცნობა - იწვევს ეჭვს, შესაბამისად ასეთი შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყდეს თავისუფლების უფლების სასარგებლოდ და არ უნდა მოხდეს პირის დაკავება.

3.3.4.1 დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიმალული პირის ამოცნობასა და საგამომიებო მოქმედების - ამოცნობას შორის განსხვავება.

თვითმხილველის მიერ დამნაშავის მიმალვის შემდეგ მოგვიანებით ამოცნობა განსხვავდება სსსკ-ით განსაზღვრული ამოცნობისგან. თვითმხილველის ამოცნობის ქვეშ-კანონმდებელმა მოიაზრა შემთხვევა, როდესაც თვითმხილველმა ამოიცნო პირი, ისეთ დროს და ისეთ ადგილას, როცა ეს არ იყო წინასწარ განჭვრეტადი და დაგეგმილი. ასევე თვითმხილველის მიერ პირის ამოცნობა ხდება არა საგამომიებო ორგანოში ამოცნობისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას არამედ სხვა ადგილას, მაგალითად ქუჩაში, ტრანსპორტში, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში და სხვა. თვითმხილველმა უნდა ამოიცნოს ისეთ ადგილას პირი, სადაც იგი არ იმყოფება უშუალოდ პირის ამოცნობის მიზნით. ეს უნდა იყოს შემთხვევითი ამოცნობა.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ პირის ამოცნობას - ეს არის წინასწარ დაგეგმილი და ორგანიზებული ამოცნობა, რომელიც ტარდება საგამომიებო ორგანოში წინასწარ გამოყოფილ სპეციალურ ოთახში.

3.3.5. პირი შესაძლოა მიიმალოს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უშვებს პირის დაკავების შესაძლებლობას მიმალვის საფრთხეზე მითითებით, როგორც ზემოთ აღნიშნა მიმალვის საფრთხე - უნდა იყოს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებიდან გამომდინარე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 3 დეკემბრის 10/ა-628/15წ განჩინებაში ვკითხულობთ, „პირის მიმალვის საფრთხე უნდა იყოს კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობილი“.

იმის, გამო რომ მიმალვის საფრთხეზე მსჯელობა უკვე გქვონდა წინა თავებში, აღნიშნული დეტალურად განხილვას აღარ საჭიროებს.

3.3.6. პირი ძეზნილია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ძეზნილი პირის შემთხვევაში მის გადაუდებელი წესით დაკავების შესაძლებლობას. იმისათვის, რათა პირი დაკავებულ იქნეს როგორც ძეზნილი სავალდებულოა დაკავებამდე პირზე ოფიცულად გამოცხადებული იყოს ძეზნა, ანუ მის მიმართ გამოტანილი იყოს დადგენილება ძეზნის შესახებ და წარმოებდეს მისი ძეზნის საქმე.

3.3.7. ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2018 წლის 20 ივნისის კანონით შეტანილი იქნა ცვლილებები, მათ შორის პირის სასამართლოს განჩინების გარეშე დაკავების საფუძვლებს დაემატა, „ზ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს პირის დაკავებას ისეთ შემთხვევაში თუ თავის მხრივ ეს მოცემულია სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კანონში.

2010 წლის 21 ივლისს საქართველოში მიღებული იქნა [სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ](#) საქართველოს კანონი, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 1-ლი ოქტომბრიდან, აღნიშნული კანონის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების, წესებისა და პროცედურების სრულყოფა.

აღნიშნული კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით: შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძეზნილი პირის საქართველოს ტერიტორიაზე დაკავება და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:

ა) უცხო სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილია პირის ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა;

ბ) უცხო სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილია პირის ექსტრადიციის მიზნით დროებითი დაპატიმრების შესახებ შუამდგომლობა;

გ) უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ პირი საერთაშორისო დონეზე იძებნება.

ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე პირის დაკავება და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, ხოლო ამ დროს პირის დაკავების საფუძველია სწორედ სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

4. პირის დაკავება სასამართლოს განჩინებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, დაკავება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიების უკიდურეს სახეს, რომლის გამოყენებაც კანონით მკაცრად გაწერილი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში არის შესაძლებელი. მოქმედი კანონის თანახმად, შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ დაკავების ორი სახე და სტანდარტი - დაკავება სასამართლოს განჩინებით და სასამართლოს განჩინების გარეშე.

ისევე როგორც სასამართლოს განჩინების გარეშე, ასევე სასამართლოს განჩინებით, პირის დასაკავებლად აუცილებელია სახეზე იყოს როგორც ფაქტობრივი (მატერიალური) ასევე ფორმალური საფუძვლები. პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების სახით დაკავების გამოყენების ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდი - დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლისთვისაც სანქციის სახით გათვალისწინებულია სასჯელის ისეთი სახე, როგორცაა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. კანონში ასეთ ჩანაწერის შემოტანით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა დაკავების, როგორც პროცესუალური ინსტიტუტის განსაკუთრებულ ბუნებას. კერძოდ, მნიშვნელოვანია

აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით, დაკავებას, პატიმრობას და ვადიან, ასევე უვადო თავისუფლების აღკვეთას გააჩნიათ მსგავსი ბუნება, რაც ბრალდებულისა თუ მსჯავრდებულის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებასთანაა დაკავშირებული, ამიტომაც კანონი აკეთებს მართებულ დათქმას, რომლის თანახმადაც პირისათვის თუნდაც 72 საათის განმავლობაში თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს, დასაბუთებული ვარაუდი ისეთი დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლის დადასტურების შემთხვევაშიც პირს ემუქრება მინიმუმ 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

5. შუამდგომლობა პირის დაკავების შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „..... გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. ეს განჩინება არ გასაჩივრდება.

შუამდგომლობა დაკავების შესახებ უნდა შედგებოდეს სამი ძირითადი - შესავალი, აღწერილობითი (სამოტივაციო) და სარეზოლუციო - ნაწილისაგან.

შუამდგომლობის შესავალი უნდა მოიცავდეს მონაცემებს: შუამდგომლობის ადრესატი სასამართლო, შუამდგომლობის ავტორი, შედგენის - თარიღს და ადგილს, სისხლის სამართლის საქმის ნომერს, დასაკავებელი პირის შესახებ პირად ინფორმაციას, სახელს გვარს, პირად ნომერს, დაბადების თარიღს და საცხოვრებელ მისამართს.

შუამდგომლობის აღწერილობითი (სამოტივაციო) ნაწილი, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს შუამდგომლობის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, ვინაიდან შუამდგომლობის დაკმაყოფილება სწორედ მასში მითითებულ გარემოებებზეა დამოკიდებული.

პროკურორმა შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს, რომ საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა და მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არსებობს დაკავების ფორმალური საფუძველები. თითოეული საფუძველის დასაბუთება უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს.

მას შემდეგ, რაც პროკურორი დაასაბუთებს, რომ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება პირის მხრიდან ისეთი სახის დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, უნდა იმსჯელოს პირის დაკავების ფორმალურ საფუძველებზე.

- ✓ პირი მიიმალევა ან არ გამოცხადდება სასამართლოში.
- ✓ გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.
- ✓ ჩაიდენს ახალ დანაშაულს

შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს სწორედ ის ფორმალური საფუძველი, რომელიც სახეზეა, არ არის აუცილებელია ყველა ფორმალური საფუძველის მითითება, უფრო მეტიც არ შეიძლება. ფორმალური საფუძველის მითითებისას მსჯელობა უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ გარემოებებს. არ უნდა იყოს შაბლონური და აბსტრაქტული დასაბუთება. აუცილებელია, რომ საფუძველის დასაბუთება მოხდეს მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

ერთდროულად სახეზე შეიძლება იყოს ყველა ან რამდენიმე ფორმალური საფუძველი, ასეთ დროს პროკურორმა დეტალურად უნდა დაასაბუთოს თითოეული ფორმალური საფუძველი ცალ-ცალკე.

ერთი შუამდგომლობით შეიძლება ერთ სისხლის სამართლის საქმეზე რამდენიმე პირის დაკავების მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად თითოეულ პირზე ცალ-ცალკე უნდა დასაბუთდეს დაკავების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველები.

5.1. შუამდგომლობის განხილვა და განჩინების სამართლებრივი მოქმედება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მიხედვით, „გამომძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. ეს განჩინება არ გასაჩივრდება.“

დღეს მოქმედი საპროცესო კანონი ითვალისწინებს დაკავების შუამდგომლობის უალტერნატივო - ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის წესს. რაც ცალსახად ზრდის სასამართლოს მხრიდან დაუსაბუთებელი და არასამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა. „ზეპირი განხილვის უფლების დაცვის სტანდარტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამართალწარმოების შინაარსზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვა უკავშირდება ფორმალურ- სამართლებრივი საკითხების დადგენას, ნაკლებია ზეპირი მოსმენის გამართვის ინტერესი. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი „*Juria novit curia*“ („სასამართლომ იცის კანონი“) და მხარეების მიერ სამართლებრივ გარემოებებზე მითითებას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს. განსხვავებულია მიდგომა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წყვეტს როგორც ფორმალურ-სამართლებრივ საკითხებს, ასევე, აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს. ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზეპირი მოსმენის ჩატარებასა და პირისთვის მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის მინიჭებას“³³, როგორც ვხედავთ, სასამართლო ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შემთხვევაში საჭიროდ მიიჩნევს ზეპირი მოსმენის ჩატარებას, ამავდროულად

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 42.

გათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ დაკავების შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო უმეტესწილად სწორედ ფაქტობრივ საფუძველს აფასებს, შესაბამისად გაუგებარია რატომ არ უნდა სარგებლობდეს ბრალდების მხარე უფლებით, რომ ზემოხსენებული შუამდგომლობის განხილვისას საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ისარგებლოს ზეპირი მოსმენის უფლებით.

გარდა ამისა მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს დაკავების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრებას. რითაც მხარეებს ერთმევათ შესაძლებლობა სასამართლოს მიერ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრონ ზემდგომ ინსტანციაში. რამაც შესაძლებელია პოტენციურად გამოიწვიოს საჯარო და კერძო ინტერესების არამართლზომიერი შეზღუდვა.

IV. დაკავების წესი.

1. დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები.

1.1. დამკავებელი პირი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მიხედვით, „დაკავების უფლება აქვს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, აწარმოებს გამოძიებას ან ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას“.

აღნიშნულით ირკვევა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვავს არა რომელიმე ორგანოს, სამინისტროს ან/და სამსახურს, არამედ თანამშრომელს, რომელსაც აქვს დასახელებულ მუხლში განხორციელებული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება, რაც სწორი მიდგომაა.

შესაბამისად დასადგენად იმისა, პირს აქვს თუ არა დაკავების უფლებამოსილება უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ ამ პირს

თანამდებობა და სტატუსი აძლევს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლში დასახული ფუნქციების შესრულებას, თუ დადგინდება, რომ ეს პირი ახორციელებს ერთ-ერთ ფუნქციას, რომელიც დასახელებულია აღნიშნულ მუხლში, მაშინ ამ პირს ექნება დაკავების უფლება.

1.2. დამნაშავის შემპყრობი.

მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რაუნდა ქნას პირმა, იმ შემთხვევაში როცა მას არ აქვს დაკავების უფლება, იმ დროს როცა მის წინაში ხდება/ან მოხდა დანაშაული და არსებობს საკმარისი საფუძველი, სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავებისთვის, ამასთანავე პირის დაკავება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როგორც ცალკეულ პირთა უფლებების დაცვისათვის ასევე ზოგადად დანაშაულის თავიდან არიდების მიზნით. ის, რომ პირს არ აქვს დაკავების უფლებამოსილება ნიშნავს ეს იმას, რომ პირმა არაფერი უნდა იმოქმედოს დამნაშავის შესაჩერებლად?! ასეთ დროს, არაუფლებამოსილმა პირმა უნდა მოახდინოს პირის შეჩერება, მან უნდა გამოიყენონ მის ხელთ არსებული ყველა ზომიერი საშუალება და შეაჩეროს დამნაშავე, ამასთანავე ევალდება, რომ აღნიშნული შეატყობინოს საგამომიებო ორგანოს თანამშრომლებს. ასეთ დროს პირს მიენიჭება დამნაშავის შემპყრობის სტატუსი და არა დამკავებელი პირის. დამნაშავის შემპყრობმა არ შეიძლება შეადგინოს დაკავების ოქმი, ასევე შეპყრობილ პირს არ უნდა განუმარტოს უფლებები.³⁴ მას შემდეგ რაც დამნაშავესთან მივა დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, მან პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი, სადაც შეყვანილი იქნება დამნაშავის შემპყრობი პირიც.

³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი „გამომცემლობა მერიდიანია“ თბილისი 2015. გვ. 512

2. დაკავებისას ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის
დამწყები პირის საკითხი.

მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა პროკურორს შესძინა დევნის განხორციელების ექსკლუზიური უფლება.³⁵

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებულია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ). აღნიშნული ჩანაწერით, როცა სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება დაკავებისთანავე და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა, გამოდის, რომ პირის დაკავება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა.³⁶ ან თუ პირიქით ვიმსჯელებთ, სისხლის სამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე, გამოდის, რომ დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი ნებისმიერი პირი, პირის დაკავებისას იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას, რაც ექვემდებარება პროკურორის ექსკლუზიურ უფლებას - სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. რაც არ არის მართებული და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებს შორის წინააღმდეგობაზე მიუთითებს.

ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ „პირის დაკავების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ლოგიკურია, ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესში ჩნდება სუბიექტი, რომლის მიმართაც ბუნებრივია დევნა უნდა განხორციელდეს“³⁷.

³⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2015. გვ. 478

³⁶ მეურმიშვილი ბესიკი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2014. გვ 93

³⁷ მეურმიშვილი ბესიკი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2014 გვ 94

ვფიქრობ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ეტაპად კანონი ცალსახად, თუ მიუთითებს მხოლოდ პირის ბრალდების დადგენილების გამოტანის მომენტს, ანუ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებად თუ ჩათვლება მხოლოდ ბრალდების გამოტანის მომენტი, მაშინ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილება იქნება. ამან არ უნდა გამოიწვიოს დაკავებული პირის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება, რაც ვფიქრობ ადვილი მისაღწევი იქნება, საპროცესო კანონმდებლობაში თუ ჩაიწერება, რომ დაკავებული პირი, დაკავების მომენტიდან სარგებლობს ბრალდებულის უფლებებით.

3. იმუნიტეტის მქონე პირების დაკავების წესი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იცნობს იმუნიტეტის მქონე პირთა ინსტიტუტს და გამონაკლისი სახით, განსხვავებულად არეგულირებს იმუნიტეტის მქონე პირთა დაკავების წესსა და პირობებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის მიხედვით, არ შეიძლება დაკავებულ იქნენ: 1. დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები. 2. საქართველოს პრეზიდენტი. 3. საქართველოს პარლამენტის წევრი. 4. გენერალური აუდიტორი. 5. საქართველოს სახალხო დამცველი. 6. სახელმწიფო ინსპექტორი. 7. მოსამართლე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული პირები პირობითად იყოფა ორ კატეგორიად - პირები, რომლებიც სარგებლობენ აბსოლიტური იმუნიტეტით და პირები, რომლებიც სარგებლობენ შეზღუდული იმუნიტეტით.³⁸

საქართველოს პარლამენტის წევრს, გენერალური აუდიტორს, საქართველოს სახალხო დამცველს, სახელმწიფო ინსპექტორს და

³⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2015. გვ: 512

მოსამართლეს თუ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე (სსკ-ის 171-2-ა) მაშინ მათი დაკავება შესაძლებელია, ყოველგვარი ორგანოს თანხმობის გარეშე. მათი დაკავების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის, მათ შორის აღკვეთის ღონისძიები გამოყენებისათვის - აუცილებელია შესაბამისი ორგანოს თანხმობა, რომელთა იდენტიფიცირებასაც აკეთებს საქართველოს კონსტიტუცია.

3.1. დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების დაკავების წესი.

დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირები და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ აბსოლუტური იმუნიტეტით, რაც გულისხმობს, იმას რომ მათი დაკავება, სანამ საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით არ მოხდება იმუნიტეტის მოხსნა აკრძალულია, იმ შემთხვევაშიც კი თუ ასეთი იმუნიტეტის მქონე პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე. აღნიშნული საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით უნდა ეცნობს იმუნიტეტის მქონე პირის წარმომადგენელ სახელმწიფოს ან/და ორგანიზაციას და უნდა დაიწყოს იმუნიტეტის მოხსნის პროცედურა. იმ შემთხვევაში თუ პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული მოეხსნება იმუნიტეტი, მაშინ მის მიმართ შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნი დაწყება, მათ შორის დაკავების/დაპატიმრების გამოყენება, ხოლო იმუნიტეტის მოხსნამდე აკრძალულია მის მიმართ ყოველგვარი დაკავების/დაპატიმრების ღონისძიების გამოყენება

1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენციაში - დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, აღნიშნულია, რომ „დიპლომატიურ აგენტს აქვს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციის იმუნიტეტი.³⁹ ამავე კონვენციის 29-ე მუხლში ასახულია, რომ

³⁹ 1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენცია- დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ.

„დიპლომატიური აგენტის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება არავითარი ფორმით.“⁴⁰

3.2. საქართველოს პრეზიდენტის დაკავების წესი.

საქართველოს კონსტიტუციის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.⁴¹ აღნიშნული ჩანაწერი ისე არ უნდა იქნეს აღქმული თითქოს საქართველოს პრეზიდენტი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არ დაისჯება და ვერ მოხდება მისი დაკავება/დაპატიმრება. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დაიწყება საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლით გათვალისწინებული იმპიჩმენტის პროცედურა, კერძოდ:

კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით საქართველოს პრეზიდენტის, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. თუ აღიძრება იმპიჩმენტი, საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც მას განიხილავს და პარლამენტს დასკვნას წარუდგენს ერთი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან

⁴⁰ 1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენცია- დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ.

⁴¹ საქართველოს კონსტიტუცია.

გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

მას შემდეგ რაც პრეზიდენტი გადაყენებული იქნება თანამდებობიდან, ამის შემდეგ მის მიმართ შეიძლება დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მათ შორის გამოყენებულ იქნეს დაკავება/დაპატიმრება.

3.2.1. განსხვავება აბსოლუტური იმუნიტეტის მქონე პირთა დაკავებასა და შეზღუდული იმუნიტეტის მქონე პირთა დაკავებას შორის.

შეზღუდული იმუნიტეტის მქონე პირებს, განსხვავებით საქართველოს პრეზიდენტისა და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირებისა, თუ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, შესაძლებელია მათი დაკავება.

ასეთ შემთხვევაში დაკავებისათვის, ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების და აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის - თუ მას წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე და მოხდა მისი დაკავება, თანხმობა უნდა განაცხადონ შესაბამისმა ორგანოებმა, კერძოდ საქართველოს პარლამენტის წევრის, გენერალური აუდიტორის, სახალხო დამცველის და სახელმწიფო ინსპექტორის მიმართ თანხმობის გამცემ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტი. თუ საქართველოს პარლამენტმა თანხმობა არ მისცა მაშინ მის მიმართ დაუშვებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ხოლო დაკავების შემთხვევაში უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ გათავისფლება.

რაც შეეხება მოსამართლის დაკავებას ან დაკავებული მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის თანხმობის მიმცემ ორგანოს, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საერთო სასამართლოების მოსამართლის შემთხვევაში წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხოლო

4. არაიდენტიფიცირებული პირის დაკავება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს, სისხლის სამართლის პროცესის წარმოებას არაიდენტიფიცირებული ბრადებულის/მსჯავრდებულის მიმართ. პირის იდენტიფიცირების დადგენას რამდენიმე ხელისშემშლელი გარეობა შეიძლება აბრკოლებდეს, ეს შეიძლება იყოს სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებით გამოწვეული. პირველ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როცა თვით ეს პირი არ ეუბნება სამართალდამცავ ორგანოებს თავის ვინაობას, რადგან მას არ სურს გაამხილოს ვინაობა. რაც შეეხება ობიექტურ გარემოებებს ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ბრალდებულმა არ იცის სამართალწარმოების ენა, ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია გადმოსცეს, მათ შორის არც ვერბალურად და არც სიტყვიერად თავისი ვინაობა, რის გამოც ვერ ხერხდება პიროვნების დადგენა. სსსკ-ი აზუსტებს პიროვნების ვინაობის ცნებას და მასში მოიაზრებს: პირის სახელს, გვარს, ასაკს, სქესს, მოქალაქეობას.⁴²

პირის იდენტიფიცირება საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოებაა, რადგან ეს შეიძლება იყო პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების - ასაკის, ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ან/და სამართლებრივად მისი ქმედების სწორი კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

⁴² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი. გამოცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2015. გვ. 529

არაიდენტიფიცირებელი პირის დაკავების შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებს დამატებით ერთევათ მთელი რიგი ვალდებულებები, უპირველეს ყოვლისა რაც უნდა გაკეთდეს, არაიდენტიფიცირებელ პირს უნდა დაენიშნოს ადვოკატი. ასევე არაიდენტიფიცირებელ პირის შემთხვევაში საგამომიებო ორგანოებმა უნდა გაატარონ კანონით გათვალისწინებული ყველა სახის საგამომიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის ოპერატიულ სამმებრო ღონისძიებები, რათა უმოკლეს ვადაში დადგინდეს პირის ვინაობა. არაიდენტიფიცირებელი პირის დაკავების შემთხვევაში, დაკავების ოქმში შესაბამისი ექსპერტის მონაწილეობით, აღიწერება პირის ყველა შესაძლო გარეგნული ნიშანი. ასევე ექსპერტის მიერ უნდა მოხდეს ფოტოგადაღება. ფოტოგადაღება უნდა მოხდეს როგორც შორი კადრიდან ასევე ახლო კადრიდან, ფოტოში უნდა გამოჩნდეს, როგორც საერთო სიმაღლე, ასევე სახე ახლოდან და თუ აქვს რაიმე დამახასიათებელი ნიშანი აუცილებლად უნდა მოხდეს მისი ფოტოგრაფირება.

იმ შემთხვევაში თუ არაიდენტიფიცირებულ პირს წარედგინება დადგენილება მისი ბრალდების შესახებ, ბრალდებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღე-ღამისა უნდა მოხდეს არაიდენტიფიცირებელი პირის სიღრმისეული კვლევა⁴³, მათ შორის აუცილებელია მოხდეს მისი დაქტილოფირება. ასევე აუცილებელია გამოტანილ იქნეს დადგენილება-სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ჩატარდეს სასამართლო სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

არაიდენტიფიცირებელი პირს, შესაძლოა მიენიჭოს პირობითი სახელი, ეს შეიძლება იყოს ციფრების ან/და ასოების კომბინაცია, სწორედ მინიჭებული პირობითი სახელით მოხდება შემდგომ ამ პირის მონაწილეობა საგამომიებო და საპროცესო მოქმედებებში. არაიდენტიფიცირებელი პირისათვის პირობითი სახელის მინიჭებას

⁴³სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2015. გვ. 531

სჭირდება საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პირობითი სახელი არ შეიძლება იყოს ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი და შეურაცხმყოფელი.

5. დაკავების პროცედურა.

5.1 დაკავებული პირისათვის ძირითადი უფლებების განმარტება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, „პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი.“.

შესაბამისად, დაკავებულისათვის უფლებების განმარტების ვალდებულება, კონსტიტუციური რანგის უფლებათა, რომელსაც იცავს კონსტიტუცია.

პირის ფაქტობრივი დაკავების შემდეგ, როცა მას შეეზღუდა გადაადგილების თავისუფლება, დამკავებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა განუმარტოს მისი ძირითად უფლებები. დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა შედგეს დაკავების ოქმი, სადაც ინფორმაციასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ დაკავებულს განემარტა მისი უფლებები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარებში ვკითხულობთ ასეთი სახის ჩანაწერს: „დაკავების საფუძვლების ზეპირად განმარტება აკმაყოფილებს თავისუფლების შეზღუდვის მიზეზების დაუყოვნებლივ განმარტების ვალდებულებას. დაკავებულს უფლებები განემარტება ზეპირად და დაკავების ოქმში მისი უფლებების ჩამონათვალის შეტანით. ამიტომ თუ დაკავებულს უფლებები განემარტა ან ზეპირად ან წერილობით (დაკავების ოქმში აღნიშვნით) უფლებათა განმარტების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“⁴⁴. თუ

⁴⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2015. გვ. 514

ჩავუღრმავდებით აღნიშნულ თეორიულ მსჯელობას და გავაანალიზებთ პრაქტიკულ ჭრილში მივხვდებით, რომ წარმოდგენილი მსჯელობა, სადაც აღნიშნულია, რომ „თუ დაკავების ოქმში მითითებულია უფლებების ჩამონათვალით უფლებათა განმარტების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“, არ არის მართებული. შემდეგ გარემოებათა გამო:

დღეს-დღეობით პრაქტიკაში არსებული დაკავების ოქი, რომლითაც ხელმძღვანელობს დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილი ყველა პირი და ივსება დაკავებისას, მოიცავს უფლებების ჩამონათვალს. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე გამოდის, რომ რადგან დაკავების ოქმში ჩამონათვალია ბრალდებულის უფლებების, ყველა დაკავების ოქმის შევსების შემდეგ უფლებების განმარტების ვალდებულება მოხსნილია, რაც რა თქმა უნდა არ არის სწორი, რადგან დამკავებელმა პირმა აუცილებლად უნდა განუმარტოს უფლებები, მათ შორის ზეპირად, უფლებების ზეპირად არ განმარტება, იმაზე დაყრდნობით, რომ დაკავების ოქმში არის ჩამონათვალი არ შეიძლება. დაკავებულ პირს, არ შეიძლება წაართვა მისი უფლებები, უფლებების განმარტება არ არის მართო ფორმალური და თუ დაკავებული პირი განმარტებული უფლებებს ვერ აღიქვამს და მათ რეალიზაციას ვერ მოახდენს, მაშინ გამოდის, რომ ის მიზანი რასაც ემსახურება უფლებების განმარტება ვერ იქნება მიღწეული.

უმჯობესია დაკავების შემდგომ ბრალდებულს გადაეცეს უფლებათა ნუსხა, სადაც ერთად თავმოყრილი იქნება მისი უფლებები.

5.2 დაკავების ოქმი

პირის დაკავებისას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა დაკავების ოქმის შევსება. დაკავების ოქმის შევსება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან სწორედ ამ დოკუმენტით აღეკვეთება პირს თავისუფლება.

საქართველოს კანონმდებლობა დაკავების ოქმის შევსების ორ ადგილს ითვალისწინებს, ერთი - უშუალოდ დაკავების ადგილას, ხოლო მეორე საგამონაკლისო ადგილი - სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე.

დაკავების ოქმი უნდა შედგეს ადგილზე - დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავების ადგილას ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე. კანონმდებელი არ ჩამოთვლის თუ რა შეიძლება მიიჩნეოდეს ობიექტურ მიზეზად, პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ობიექტურ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს დაკავების ადგილას შექმნილი მასობრივი არეულობა, ან/და ადგილზე შექმნილია ისეთი დამაბული სიტუაცია, როდესაც ადგილზე გაჩერება არ არის უსაფრთხო, როგორც დაკავებული პირისათვის, ასევე დამკავებელი პირისთვის.

დაკავების ოქმში ზუსტად უნდა აღინიშნოს, თუ როდის მოხდა პირის ფაქტობრივი დაკავება, საათის და წუთის მითითებით, სწორედ ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან აითვლება პირის დაკავების ვადა.

დაკავების ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს, თუ რა ვითარებაში და ვის მიერ მოხდა პირის დაკავება, თუ სახეზე გვაქვს დამნაშავის შეპყრობა, შემპყრობთან ერთად ასევე უნდა მიეთითოს თუ რა ვითარებაში შეიპყრო პირმა და შემდგომ ვინ მოახდინა მისი დაკავება.

ასევე უნდა აღინიშნოს დაკავების საფუძველი, იმ შემთხვევაში თუ დაკავება ხდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, უნდა მიეთითოს განჩინების თარიღი და ნომერი, ხოლო თუ დაკავება ხდება სასამართლოს განჩინების გარეშე უნდა მიეთითოს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი.

ასევე უნდა აღინიშნოს განემარტა თუ არა უფლებები და დადებით შემთხვევაში ვის მიერ განემარტა უფლებები - დაკავებულს.

დაკავებისა და ჩხრეკის ოქმი მოიცავს რამდენიმე ისეთი სახის გრაფებს, რომელშიც აუცილებელია ზუსტი დროის მითითება, კერძოდ: ოქმის შედგენის დაწყების და დამთავრების დრო. ფაქტობრივი დაკავების დრო, ჩხრეკის დაწყებისა და დამთავრების დრო, დაკავებულისათვის დაკავების ოქმის ასლის გადაცემის დრო. დაკავებულის პოლიციის/სამართალდამცავ ორგანოში მიყვანის დრო, უფლებამოსილი პირის მიერ დაკავებისა და ოქმის დადასტურების დრო. 175-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით „თუ დაკავებისას პირს არ განემარტა ამ კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და არ გადაეცა დაკავების ოქმი ან თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, თავისუფლება შეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“ აღნიშნული კი ცალსახად მეტყველებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დაკავების ოქმის სრულყოფილად შევსება. იმ შემთხვევაში თუ შედგენილი იქნება დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი და პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნება კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან ნივთიერება ან/და დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი ნებისმიერი სახის მტკიცებულება დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმს ყველაფერთად ერთად ასევე ექნება მტკიცებულებითი ძალა.

6. დაკავებული პირის შემთხვევაში სასამართლოს ვალდებულება გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენების შესახებ.

საქართველოს სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, „ სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის სამართლის საპროცესო

სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით,⁴⁵. აღნიშნულის თანახმად, პირის დაკავებით, სასამართლოს ერთვება ვალდებულება დაკავებული პირის მიმართ გირაოს გამოყენების შემთხვევაში, გირაოს ნაწილობრივ ან სრულ გადახდამდე პირი დატოვოს პატიმრობაში. შესაბამისად ირკვევა, რომ პირის პატიმრობაში დარჩენა ხდება მხოლოდ გირაოს თანხის შეტანასთან დაკავშირებული მიზეზით და ისიც მხოლოდ დაკავების ფაქტის გამო. საპატიმრო გირაოს გამოყენების შემთხვევაში, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა განჩინებაში, პატიმრობაში დატოვების, დასაბუთების არ არსებობა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ საკანონმდებლო დებულებიდან გამომდინარეობს.

სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილით, დაკავების შემთხვევაში გირაოს გამოყენებისას, პატიმრობის უზრუნველყოფის წესი, არის სავალდებულო ხასიათის, რაც იმას ნიშნავს, რომ დაკავებული პირის მიმართ გირაოს გამოყენების შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია გამოიყენოს პატიმრობა, აღნიშნული მავალდებელი გარემოებების გამო კი აღარ ხდება პატიმრობის გამოყენების დასაბუთება. დასაბუთების საგანი - არის გირაო, ხოლო პატიმრობის შეფარდება კი შემოიფარგლება მხოლოდ სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილზე მითითებით. არადა იმ დროს, როდესაც მოსამართლე გირაოს გამოყენების ნაწილში გარკვეულ წილად ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ გირაო უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და პატიმრობის გამოყენებას მიიჩნევს დაუშვებლად და არასაჭიროდ, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად პირს მაინც ტოვებს პატიმრობაში, თანაც იმ ფონზე, როცა მან დაასაბუთა, რომ პატიმრობის გამოყენება საჭირო არ იყო. საბოლოოდ კი გამოდის, რომ პირი პატიმრობაში რჩება პატიმრობის დასაბუთების გარეშე, რაც არ მოდის თანხვედრაში არც ეროვნულ კანონმდებლობასთან და არც ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართ დადგენილ პრაქტიკასთან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კანონის

⁴⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

საფუძველზე გირაოზე ავტომატური უარი, რომელიც მოკლებულია სასამართლო კონტროლს, შეუთავსებელია მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებულ გარანტიებთან. (Piruzyan V. Armenia,)⁴⁶

დაკავების ფაქტი არის ის ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად ედება პირის ავტომატურად პატიმრობაში დატოვებას, მის მიმართ გირაოს შეფარდების დროს, თანაც მაშინ, როცა მისი პატიმრობაში დატოვება საჭირო აღარ არის.

7. დაკავების წესი ევროპის ქვეყნების სამართალში.

საფრანგეთი.

საფრანგეთში დაკავება უმნიშვნელოვანესი საპროცესო საპოლიციო მოქმედებაა და იმავდროულად საპროცესო იძულების ყველაზე სერიოზული ღონისძიებაა. ამკარა დანაშაულთა (გადაცდომების) გამოძიების დროს სასამართლო პოლიცია უფლებამოსილია დააკავოს პირი, რომელსაც შეუძლია მიაწოდოს აუცილებელი მონაცემები. ე.ი იგივე კატეგორია პირებისა, რომლებიც ექვემდებარებიან უბრალო დაკითხვას. პირველდაწყებითი გამოძიების დროს შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ პირი, რომლის წინააღმდეგ არსებობს რაიმე სამხილები. პირს დაკავებისას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დუმილის და ოჯახის წევრზე შეტყობინების უფლება.⁴⁷

როგორც ჩანს საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით საფრანგეთში პირის დაკავება შეიძლება დაკითხვის მიზნითაც განხორციელდეს. ასევე განსხვავებით ქართული კანონმდებლობისა ამ დროს პირს არ აქვს ადვოკატის ყოლის უფლება პირველი 20 საათის განმავლობაში, დაკავებიდან 20 საათის გასვლის შემდეგ კი მას შეუძლია მოითხოვოს ადვოკატთან შეხვედრა. ზოგიერთი სახის დანაშაულზე კი

⁴⁶ <https://hudoc.echr.coe.int/eng-press#%22itemid%22:%22001-111631%22>]]

⁴⁷ დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართალის პროცესო. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი გვ. 406-407

ადვოკატთან შეხვედრის უფლება აქვს დაკავებიდან 35 საათის გასვლის შემდეგ.⁴⁸

ბელგია:

„პირის დაკავებისათვის აუცილებელია დანაშაულზე წასწრება. ამ დროს პოლიციას აქვს უფლება გამოიყენოს პირის მიმართ საპროცესო იძულების ღონისძიება - დაკავების სახით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულზე წასწრების დროს პირის დაკავება შეუძლია კერძო პირსაც. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, პირის დაკავებაზე გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტს წარმოადგენს პროკურორი.⁴⁹ საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით ბელგიაში პირის დაკავების უფლებამოსილება აქვს ნებისმიერ პირს. ასევე, საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ბელგიის კანონმდებლობა ითვალისწინებს დაკავების 24 საათიან ვადას, რომლის გაგრძელებაც შეუძლია მოსამართლეს.

ინგლისი.

1984 წელს მიღებული იქნა კანონი, „პოლიციისა და სისხლისსამართლებრივ მტკიცებულებათა შესახებ“, კანონმა თვითონ განსაზღვრა დანაშაულები, რომლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია პირის დაკავება, კერძოდ 24 -ე მუხლის თანახმად, დანაშაული დაკავებადია, თუ იგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთი ან მეტი წლით და ჩადენილია 21 წელს ასაკს მიღწეული პირის მიერ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციელს აქვს უფლება პირი დააკავოს იმ შემთხვევაშიც თუ არაიდენტიფიცირებულია და პირი იტყუება თავის ვინაობას, ასევე იმ შემთხვევაში თუ ვერ დგინდება მისი მისამართი, რაც შემდგომ ხელს შეუშლის უწყების გაგზავნას. ასევე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნებისმიერ პირს აქვს უფლება

⁴⁸ იქვე

⁴⁹ ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, კ. ვინგარტის რედაქტორობ

დააკაოს პირი, მისი თანდასწრებით ჩადენილ მშვიდობის დარღვევისათვის, ასევე მაშინ თუ არსებობს მოლოდინი, რომ ჩადენილი იქნება დანაშაული.⁵⁰

ყოველივე აღნიშნულით დგინდება, რომ ქართული კანონმდებლობის მსგავსად, პირის დაკავებისათვის საჭიროა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სანქცია ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას, მაგრამ განსხვავებით ინგლისის კანონმდებლობა უფრო აკონკრეტებს და მოითხოვს, რომ გათვალისწინებული სანქცია იყოს 5 ან მეტი წლით, ამასთანავე დასაკავებლად საჭიროა პირი იყოს 21 წლის.

V დასკვნა

ნაშრომში დეტალურად იქნა განხილული დაკავება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებული იძულების ღონისძიება. ნაშრომის დასაწყისი ძირითადად დაეთმო თავისუფლების უფლებას, განისაზღვრა დაცული სფერო და დაცულ სფეროში ჩარევა. ასევე, განხილული იქნა ევროპული კონვენციის ჭრილში თავისუფლების უფლება და გაანალიზებული იქნა სტანდარტები, რა შემთხვევაშიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას - დაკავებას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი უპირველეს ყოვლისა აცხადებს, რომ „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება“, აღნიშნული წინადადება კი ხელშემკვრელ მხარეებს ავალდებულებს უზრუნველყონ ადამიანის თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების დაცვა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში დააფიქსირა ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების მნიშვნელობა, მათ შორის საქმეში კურტი თურქეთის წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ „...კონვენციის ავტორებმა ადამიანის დაცვა თავისუფლების თვითნებური აღკვეთისაგან იმ ცალკეულ უფლებათა

⁵⁰ ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, კ. ვინგარტის რედაქტორობ

შერწყმით განამტკიცეს, რომელთა მთავარი მიზანია, შეამციროს თვითნებობა თავისუფლების აღკვეთის ყოველი აქტის დაქვემდებარებით დამოუკიდებელი სასამართლო გამოძიებისთვის და ასეთ ქმედებაზე პასუხისმგებლობის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისთვის დაკისრებით. არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა აღიქმება ისე, რომ მათი არარსებობა გამოიწვევდა კანონის უზენაესობის მნიშვნელობის დაკნინებას და საშუალებას არ მისცემდა თავისუფლებააღკვეთილ პირებს, მიემართათ სამართლებრივი დაცვის ელემენტარული საშუალებებისათვის⁵¹.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნაა, ნებისმიერი პირისთვის თავისუფლების შეზღუდვა მოხდეს კანონით დადგენილი წესით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კანონიერების ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ დაკავების პროცედურაზე, არამედ დაკავების საფუძველზეც.

შესაბამისად, ნაშრომში აღწერილია, როგორც ეროვნული კანონმდებლობით ასევე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დაკავების საფუძვლები და პროცედურა.

ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული დაკავებული პირის უფლებები და დამკავებელი პირის ვალდებულებები, რომელთა კეთილსინდისიერად შესრულებაც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას. მიმოხილულია, როგორც სასამართლოს განჩინებით ასევე სასამართლოს განჩინების გარეშე, დაკავების ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები და დაკავების მიზნები. აღწერილია არაიდენტიფიცირებული პირებისა და იმუნიტეტის მქონე პირების დაკავების წესი და პროცედურა.

ნაშრომში გამოკვეთილი და დასაბუთებულია კანონმდებლობის მთელი რიგი ხარვეზები.

მოქმედი კანონმდებლობის ანალიზზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა პირს შეიძლება დაეკისროს

⁵¹ საქმე კურტი თურქეთის წინააღმდეგ (Kurt v. Turkey).
<https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:%22001-58198%22>

არამართო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც აღნიშნულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის დარღვევისათვისაც, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ქმედებას დანაშაულად არ აცხადებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ეს კი ეჭვქვეშ აყენებს სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ - დანაშაულის ცნებას და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, რადგან პირის დაკავების საფუძველია - დანაშაულის ჩადენა. სსსკ-ის მიხედვით დანაშაულს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მიუხედავად ამისა, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტში⁵², დანაშაულად აღინიშნა ისეთი ქმედება და ამ ქმედებაზე დაწესდა სასჯელი, რომელიც გაწერილი არ არის სისხლის სამართლის კოდექსში. აღნიშნული კი ცალსახად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. დანაშაული უნდა იყოს გაწერილი, მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, ისინი არ უნდა იყოს გაფანტული სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში. აღნიშნულ მსჯელობა ასევე, განვითარებულია, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებებში.

სასჯელი გამოიყენება მხოლოდ სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების და არა მისი მსგავსი ქმედების ჩამდენის მიმართ. აღნიშნული სხვაგვარად შეიძლება შემდეგნაირად გამოითქვას: არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“.⁵³

⁵²საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტი, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“

⁵³ სასჯელი და მისი შეფარდება, თემურ ცქიტიშვილი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2019 გვ:17

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თვალსაზრისით „კანონად“ შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო საქმიანობის მხოლოდ ის პროდუქტი, რომელიც პასუხობს კანონის ხარისხის მოთხოვნებს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს კანონის შესაბამისობას სამართლის უზენაესობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან. ამ პრინციპების რეალური დაცვისთვის პრაქტიკული და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კანონის ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობას. კანონის ხარისხი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო რეგულაცია იყოს იმდენად მკაფიო, რომ პირმა შეძლოს სამართლებრივი მდგომარეობის ადეკვატურად შეცნობა და საკუთარი ქმედების შესაბამისად წარმართვა⁵⁴.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (ბარანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ)⁵⁵ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნა ისე არ უნდა იქნეს აღქმული, რომ თავისუფლების შეზღუდვის კანონიერება გულისხმობს მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობასთან შესაბამისობას. იგი ასევე, გულისხმობს, რომ ეროვნული კანონმდებლობა ნათლად ჩამოყალიბებულ წინაპირობებს უნდა შეიცავდეს და უნდა იყოს განჭვრეტადი.

იმისათვის, რათა მომავალშიც არ გვექონდეს მსგავსი სახის სამართლებრივი კოლიზია და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა არ იქნეს უგულებელყოფილი უმჯობესი იქნება თუ საკანონმდებლო რეგულაციებით მოწესრიგდება და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის არეალში მოექცევა საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის დარღვევაც, რაც სხვა სამართლებრივ სიკეთესთან ერთად დაიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლით, ამავე კოდექსისათვის მინიჭებულ

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ § 11, გვ. 11-12

⁵⁵ <https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:%22001-58525%22>

სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ექსკლუზიურ უფლებას.

ნაშრომზე კვლევისას, საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც პირის დაკავება ხდება იმ დროს, როცა საქმეზე არსებული მტკიცებულებები არ იძლევა დასაბუთებულ ვარაუდის სტანდარტს - ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, რაც კანონმდებლობის აშკარა დაადევნა. დამკავებელი პირები არასრულყოფილად აფასებენ როგორც დაკავების საფუძვლებს ასევე დაკავების მიზნებს, რაც პირდაპირ ასოცირდება ადამიანის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთასთან - დაკავებასთან. ხშირად პირის დაკავება ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა და აღნიშნულზე დაყრდნობით დამკავებელი პირი, ფიქრობს, რომ მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით - დამნაშავე პირი მიიმალება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ და საქართველოს სასამართლოებმა, არაერთ საქმეზე განმარტეს, რომ პირის მიერ ისეთი სახის დანაშაულის ჩადენა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ყველა შემთხვევაში არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხეს.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების სიმძიმე და შესაბამისად, შესაძლო მკაცრი სასჯელი, რელევანტური გარემოებაა, მაგრამ არ არის საკმარისი, რომ დაასაბუთოს პირის მიერ მიმალვის საფრთხე.⁵⁶

საქმეზე კოსტადინოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, სადაც პირს ბრალად ედებოდა მარცვა დამამძიმებელ გარემოებებში (დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), მხოლოდ ბრალდების სიმძიმის საფუძველზე ბრალდებულის პატიმრობა, ევროპული კონვენციის მე-5

⁵⁶ „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან. გამომცემლობა თბილისი 2017. გვ 58

მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევად ჩაითვალა.⁵⁷ ასევე, გადაწყვეტილებაში “Mansur v. Turkey”⁵⁸, სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდებულის მიმალვის საფრთხე არ შეიძლება მხოლოდ სასჯელის შესაძლო სიმძიმით განისაზღვროს. აღნიშნული უნდა შეფასდეს მრავალი სხვა ფაქტორის მიხედვით, რომელიც ან დაადასტურებს მიმალვის საფრთხეს ან იმდენად უმნიშვნელო იქნება, რომ ვერ გაამართლებს პროცესის მიმდინარეობისას პირის პატიმრობის აუცილებლობას.⁵⁸

დამკავებელმა პირმა, პირის მხრიდან დაკავების საფუძვლების განსაზღვრისას მომდინარე საფრთხეები უნდა შეაფასოს ობიექტურად, შეფასება უნდა იყოს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობილი, შეფასებისას დამკავებელი პირმა გადაწყვეტილების მიღებამდე, მნიშვნელოვანია იმსჯელოს და განსაზღვროს მომდინარე საფრთხეების აღკვეთა ხომ არ იქნება შესაძლებელი პირის დაკავებისაგან განსხვავებით ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებით. პირის დაკავება გამოყენებული უნდა იქნეს უკიდურეს შემთხვევაში, როცა სხვა ღონისძიებით მიზანი ვერ იქნება მიღწეული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის რათა დამკავებელმა პირებმა არ მოახდინონ დაკავების საფუძვლების არასრულყოფილად შეფასება, მნიშვნელოვანია დაკავების უფლებამოსილ პირებს, კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, პერიოდულად უტარდებოდეთ ტრენინგ-კურსები, სადაც განხილული იქნება, როგორც საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული კეისები, რაც დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს დაეხმარებათ მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, აღნიშნული კი პირდაპირ

⁵⁷ Kostadinov v. Bulgaria, განაცხადი no. 55712/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება

⁵⁸ Mansur v. Turkey), განაცხადი no. 16026/90, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1995 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 55. (აღნიშნული ციტატა ასევე გამოყენებულია „საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან, წიგნი. გვ.59

ზემოქმედებას მოახდენს ადამიანის უფლებათა დაცვაზე და თავიდან იქნება აცილებული არაერთი უკანონო დაკავების ფაქტი.

პირის დაკავება უნდა მოხდეს, მხოლოდ და მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მართლზომიერ ფარგლებში. ამასთანავე, ხშირ შემთხვევებში, დემოკრატიულ სახელმწიფოში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია დამნაშავე პირის დაკავება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის დაკავების ორდინალურ წესს წარმოადგენს სასამართლოს განჩინების საფუძველზე პირის მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა.

კვლევისას, დაკავების შესახებ განჩინების გაცემის წესთან და მის მოქმედებასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა სერიოზული ხარვეზები. მათ შორის, ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დღეს მოქმედი რედაქცია რაიმე კონკრეტულ ვადას არ აწესებს სასამართლოს მხრიდან დაკავების შუამდგომლობის განხილვასთან დაკავშირებით, ამის გამო სსსკ-ის 93-ე მუხლის თანახმად, ამ შემთხვევაში ჩვენ ზემოხსენებული შუამდგომლობის განხილვაზე უნდა გავავრცელოთ 3 დღიანი ვადა, რაც ჩემი აზრით, არ არის მართებული და იგი წარმოადგენს კანონმდებლობის ხარვეზს, რადგან თავად დაკავების ბუნების და მისი საფუძვლების შინაარსის გათვალისწინებით, დაკავება არის უკიდურესი ხასიათის ღონისძიება, რაც მოითხოვს მყისიერ რეაგირებას და 3 (სამ) დღიანი - 72 საათიანი განხილვის ვადა არის არაგონივრული მოცულობის, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია რეალიზებულ იქნას კანონით გათვალისწინებული საფრთხეები და აღნიშნულის მეშვეობით დაზიანდეს როგორც საჯარო ისე კერძო ინტერესები.

ნაშრომის ძირითად ნაწილში ასევე გამოკვეთილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კიდევ ერთი ხარვეზი - დაკავების შუამდგომლობის უალტერნატივო - ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის

წესი, რამაც რიგ შემთხვევებში შეიძლება ხელი შეუშალოს საკითხის არასრულყოფილად და მართებულად შეფასებას. საქმის ზეპირი განხილვის აუცილებლობაზე ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის №3/1/574⁵⁹ გადაწყვეტილება, რომლის თანახმად⁶⁰, „როდესაც სასამართლო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დგას ფაქტების დადგენის საჭიროების წინაშე, არსებობს მომეტებული ინტერესი, ჩატარდეს საქმის ზეპირი განხილვა, სადაც მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა, წარადგინონ მტკიცებულებები, ახალი ფაქტობრივი გარემოებები, გამოთქვან მოსაზრებები, გამოხატონ პოზიციები როგორც საკუთარი, ისე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში და, საბოლოო ჯამში, დაარწმუნონ სასამართლო საკუთარი არგუმენტების სისწორეში. შედეგად, გავლენა მოახდინონ საკითხის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას, რაც ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტული პირების უფლებების დაცვისთვის ან დარღვევის თავიდან აცილებისთვის, ისე ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის.

დაკავების შუამდგომლობის მოქმედების წესთან დაკავშირებით ასევე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საბოლოობა, რითაც მხარეებს ერთმევათ შესაძლებლობა გაასაჩივრონ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება

⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/1/574. საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

განამტკიცებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა, მისი მიზანია ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების სასამართლოს გზით ეფექტური დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. „სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებისა და სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს.“⁶¹

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის რათა რეალიზებული არ იქნეს დამნაშავე პირთა მხრიდან მომდინარე საფრთხეები და დროულად იქნას ისინი აღკვეთილი, ასევე სასამართლოს მხრიდან დაკავების შუამდგომლობის განხილვისას მხედველობის მიღმა არ იქნეს დარჩენილი მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი და ფორმალური გარემოებები და არგუმენტირებულ მსჯელობაზე დაყრდნობით მიღებული იქნება სწორი გადაწყვეტილება პირის დაკავების შესახებ. ასევე, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მხარეს მიაჩნია, რომ არ შეესაბამება კანონმდებლობას იქნეს გასაჩივრებული. საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც გაიწერება დაკავების შუამდგომლობის განხილვის გონივრული ვადა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება შუამდგომლობის ზეპირი განხილვა და ასევე მხარეს მიეცემა მისი გასაჩივრების საშუალება.

ნაშრომის ძირითად ნაწილში როგორც აღინიშნა დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შემთხვევაში, დაკავების ფაქტის გამო, პირი რჩება პატიმრობაში, მიუხედავად იმისა, რომ მას შეფარდებული არ ააქვს პატიმრობა. რაც უნდა აღინიშნოს, რომ არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და ევროპული

⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531, გადაწყვეტილება ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა დაადგინა, როდესაც გირაოს გადაუხდელობის გამო ბრალდებული დარჩა პატიმრობაში⁶²

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ილიკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ აღნიშნა, რომ ავტომატური პატიმრობის ნებისმიერი სისტემა თავისთავად შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფთან.⁶³ აღნიშნული წესი ასევე წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ კანონმდებლობასთან, საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სასამართლოს უფლება აქვს ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება - ბრალდებულის მიმართ არ იქნეს გამოყენებული პატიმრობა, მიაჩნებს იმ ფაქტზე, რომ პატიმრობაზე სხვა უფრო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა. განხილულ შემთხვევაში კი პირი პატიმრობაში რჩება არა იმიტომ, რომ მისგან მომდინარეობს საფრთხეები, რომელთა განეიტრალებაც მხოლოდ პატიმრობას შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ გირაოს თანხა აქვს გადასახდელი, რაც ცალსახად არასამართლიანია და მიაჩნებს ადამიანის უფლებების დარღვევაზე.

პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, როგორც საკანონმდებლო ცვლილებებით, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის არაკონსტიტუციურად გამოცხადებით.

⁶² ტოშევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Toshev v. Bulgaria, განაცხადი no. 56308/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 10 აგვისტოს 89 გადაწყვეტილების პუნქტი 68(გირაოს თანხის გადაუხდელობის გამო პირის პატიმრობაში დატოვება ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებს)

⁶³ (Ilijkov v. Bulgaria), განაცხადი no. 33977/96, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ დაკავებასთან დაკავშირებით ხარვეზები არსებობს როგორც საკანონმდებლო კუთხით, ასევე საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში, რომელთა გაანალიზება მოხდა წინამდებარე ნაშრომში, ამასთანავე ნაშრომში შემოთავაზებული იქნა წარმოდგენილი თითოეული პრობლემების აღმოფხვრის გზები.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. აქუბარდია ირინა, გოგნიაშვილი ნინო, თუმანიშვილი გიორგი, ივანიძე მათა, მეურმიშვილი ბესიკი, ფაფიაშვილი ლალი, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, თბილისი 2017,
2. ბოხაშვილი ბესარიონი, მშვენიერაძე გიორგი, ყანდაშვილი ირაკლი, ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი 2016.
3. ბურჯანაძე გ. გოცირიძე გ. მენაბდე ვ. მშვენიერაძე, ტულუში თ. - ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. თბილისი 2013.
4. გაბისონია. თ. ზუბაშვილი თ. ლითანაშვილი თ. ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კონტექსტში. გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2019.
5. გაბისონია ირაკლი საკონსტიტუციო კონტროლი და დაკავება-დაპატიმრებასთან დაკავშირებული საპროცესო პრობლემები, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N1, თბილისი, 2003;
6. გაბრიჩიძე გაგა - ევროპული კავშირის სამართალი. თბილისი 2012.
7. გარიშვილი მარინა, ხოფერია მარიამ - საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია თბილისი 2014
8. გოლოვკო, ფ. გუცენკო, ბ. ა. ფილიმონოვი დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესო.
9. გუნცაძე შორენა, დადემქელიანი გერმანე, თუმანიშვილი გიორგი, თოლორაია ლონდა, კვაჭანტირაძე დავითი, ლიპარტელიანი ლარისა, მეზვრიშვილი ნათია, - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი 2015.
10. თუმანიშვილი გიორგი, შრამ ედვარდ, ჯიშკარიანი ბაჩანა - ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე.
11. კორკელია კონსტანტინე მჭედლიძე ნანა, ნალბანდოვი ალექსანდრე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან. 2005.

12. კორკელია, კონსტანტინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, 2004
13. მირიანაშვილი გიორგი ფირცხალაიშვილი ანა - ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში. თბილისი 2018
14. მაკბრაიდი ჯერემი, ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, 2011.
15. მეურმიშვილი ბესიკი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2015
16. მეურმიშვილი ბესიკი, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პირის ბრალდებულად ცნობით, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“. 2015.
17. მაკბრაიდი ჯერემი - ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი
18. ფაფიაშვილი ლალი - „თავისუფლებამზღვრელი საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტები“, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, ნომერი IV, 2011;
19. ჯიშკარიანი ხაჩანა - ევროპული სისხლის სამართალი. 2018.
20. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, კ. ვინგარტის რედაქტორობით, 1993;

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. HUMAN RIGHTS IN THE COUNCIL OF EUROPE AND THE EUROPEAN UNION. STEVEN GREER, JANNEKE GERARDS AN ROSE SLOWE
2. M. W. Janis, r. S. Kay, A.W. Bradley, European Human Rights law, Text and materials, third ed. 2008;
3. Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers, UNITED NATIONS, New York and Geneva, 2003;

ანგარიშები:

1. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2018 წლის ანგარიში.

სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები.
3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
4. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ სამოქალაქი პაკტის
5. საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ.
6. 1957 წლის „ექსტრადაციის შესახებ“ ევროპული კონვენცია.
7. 1961 წლის 18 აპრილის ვენის კონვენცია- დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ.
8. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტი, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“
9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
11. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
12. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.
13. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.
14. ოპერატიული-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის #2/1/415 გადაწყვეტილება,
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/574.
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბერის N1/3/407
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის № ბს-485-474(2კ-14) გადაწყვეტილება.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის №ბს-1034 (კ-18) გადაწყვეტილება.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის №ბს-134-132(კ-17) გადაწყვეტილება.
9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის № 1/ბ-555-12 განაჩენი.
10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 11 ნომბრის N1გ/1722-16

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის განჩინება, საქმე 3ბ/1547-15წ
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის №1გ/1722-16 განჩინება.
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის განჩინება, საქმე 3ბ/1547-15წ
14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 04 ოქტომბრის N 1გ/1199-17
15. გადაწყვეტილებას.
16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის N1/ბ-555-12

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. საქმე: კურტი თურქეთის წინააღმდეგ (Kurt v. Turkey).
2. საქმე: ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ.
3. საქმე: FOX, CAMPBELL AND HARTLEY V UK.
4. საქმე: „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი №45554/08) 15 ივლისი 2014.
5. საქმე: Kostadinov v. Bulgaria, განაცხადი no. 55712/00,
6. საქმე: Mansur v. Turkey, განაცხადი no. 16026/90,
7. საქმე: Husein Esen v. Turkey (49048/99, 2006 წლის 8 აგვისტო)
8. საქმე: Mamedova v. Russia (7064/05, 2006 წლის 1 ივნისი) განმარტა,
9. საქმე: CASE OF STÖGMÜLLER v. AUSTRIA,
10. საქმე: Yevgeniy Gusev v. Russia, განაცხადი no. 28020/05.
11. საქმე: (Mikiashvili v. Georgia, განაცხადი no. 18996/06)
12. საქმე: Clooth v. Belgium, განაცხადი no. 12718/87,
13. საქმე: მინასიანი (Minasyan) სომხეთის წინააღმდეგ (განაცხადი no. 44837/08)
14. საქმე : (Toshev v. Bulgaria, განაცხადი no. 56308/00,
15. საქმე: (Ilijkov v. Bulgaria), განაცხადი no. 33977/96,

ინტერნეტრესურსი:

1. <https://matsne.gov.ge/>
2. <http://parliament.ge/ge/>
3. <https://www.constcourt.ge/>
4. <http://www.supremecourt.ge/>
5. <http://www.tbappeal.court.ge/>
6. <http://www.library.court.ge/>
7. <https://hudoc.echr.coe.int/>